

345/2  
1897

№ IV

საქართველოს  
ბიბლიოთეკა

# საქართველო




1897 აპრილი


შ ი ნ ა ა რ ს ი

ყოთრნალ „ჯეჯილისა“

I	აღღომა, ლექსი — შ. შღვიძელისა . . . . .	3
II	მწყერი, — ვაჟა ფშაველასი . . . . .	5
III	გულკეთილი ლევანი, — ვანოსი . . . . .	10
IV	გაზაფხული, ლექსი — ღასინისა . . . . .	17
V	ჯემს გარტილდის ცხოვრება. (შემდეგი) — ბატუასი . . . . .	19
VI	ლომი და კურდღელი (იგავი „ქალილა და დამანიდან“). . . . .	24
VII	აღღენა ლაზარესი — გ. წუაღტუბუჯისა . . . . .	28
VIII	მამალი, ლექსი — ს. ინასარძისა . . . . .	31
IX	პატარა ლორდის თე-გადასაეალი თარგმანი — ე — კოსი . . . . .	33
X	საკვირველებანი ბუნებისა, (წყლის ზამბახი) — ღ. აღნაიშვილისა . . . . .	48
XI	მარგალიტი — ილიკოსი . . . . .	50
XII	აეი შეიღები (იგავი), აღ. მ — შკიღისა . . . . .	58
XIII	ტოროლა — ღიღასი . . . . .	60
XIV	შარადა, ეპიტეზისი, ხალხური ლექსები, გამოცანები ზ რებუსინ . . . . .	2



ყოთრნალი „ჯეჯილი“ 1897 წელსაც გამოვა ყოველ თვე, ე. ი. ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში 12 წიგნს — ექვსის მაგივრათ და ყოთრნალი მხოლოთ ერთი მანეთით მეტი ღირს. (თბიღისში 4 მ. და ქალაქ კარეთ 5 მ.)





ს ა ქ მ ე წ ვ ი ლ ო ნ ა ხ ა ტ ე ბ ი ა ნ ი

უ უ რ ნ ა ლ ი

107

იზარდუ, მწვანე ჯეჯილო.  
დაპურდი, განდი ყანაო!..  
ო. დ.

№ IV

ც ვ ი ს ა ბ ა მ ა ს უ ლ ი ა

ტ უ ი ლ ი ს ი

ს ტ ა მ ბ ა გ. დ. რ ო უ ჯ ი ნ ა ნ ც ი ს ა ||| ტ ი პ. მ. დ. რ ო ტ ი ნ ი ა ნ ძ ა. გ ო ლ. პ რ., დ. № 41.  
1897.

Дозволено цензурою Тифлисъ, 3-го Апрѣля 1897 года.

---

## ა ღ ღ გ ო მ ა.



ომილოცავს, ქრისტე აღდგა  
ქვეყნის მხსნელი მაცხოვარი,  
და ნათელით შეიმოსა  
ქვეყანა და მთა და ბარი.

—  
დღეს სუყველგან დათრგუნ-  
ვილა  
ცბიერება, მტრობა, შური,  
ერთის გრძნობით გამსჭვა-  
ლულა  
ბედნიერი და უძლური.

—  
და ეს გრძნობა არის ხალხის  
უძლეველი სიყვარული,  
თანაბრათ სცემს, თანაბრათ უღერს  
მხნეთ და მტკიცეთ მათი გული.

—  
ყვავილებით მოქარგული  
დღეს ბუნებაც სულ სხვა არი  
და ისიც კი გაიძახის:  
ქრისტე აღდგა, — როგორც ზარი.

შეხეთ ჩიტსა, გალიიდან  
 გაშვებულსა, რა რიგ ვალობს,  
 მადლსა სწირავს ანგელოზსა  
 და ჰაერში დასრიალობს.

ანგელოზმა გალიისა  
 დღეს ვაუღლო ჩიტსა კარი,  
 რომ აღდგომას მიეგებოს  
 და ადიდოს მაცხოვარი...

მოდო ბიჭო ჩვენცა კვერცხი  
 დავკრათ გავაღალღოთ გული,  
 მაგრამ კი არ მომატყუო  
 არა გქონდეს ჩაკირთული.

შე ეშმაკო, გახსოვს შარშან  
 რა ნაირათ მომატყუე,  
 ფალავანი დამიჩენე  
 და იმედი გამიცრუე!

მე დამტოვე გულ-ნაკლუდი,  
 შენ კი გაშვი ხალხში ცქვიტათ...  
 მაშ წელს ნულარ მომატყუებ  
 ქრისტე აღდგა ჭეშმარიტათ.

შ. მღვიმელი.



გაზაფხული.

მ წ ე ე რ ი.



I.

ამთარი მოახლოვდა. ყველა მძლეწარი ფრინველები გაიკრიფენ ჩვენის ქვეყნიდან თბილ ქვეყნებში; წავიდა მერცხალი, წავიდა გუგული; აღარსად ჭიკჭიკებენ მწყერები ყანებში, აღარც ფუტკარი მინდვრებში. მარტო ერთათ-ერთი მწყერი დარჩა ჩვენ ქვეყანაში და ისიც, ძალა-უნებურათ, მეტი ღონე არ იყო უნდა დარჩენილიყო. რა მიზეზით? იკითხავთ.—დაკოდილი გახლდათ ცოტაოდნათ და იმიტომ. ამხანაგებმა კარგა მანძილი გამოატარეს, უნდოდათ თან წაეყვანათ დაკოდილი თანა-მომძე, მაგრამ სწეულმა რა შეატყუო თავის თავს მგზავრობას ვერ შეეძლებო, ამხანაგებს უთხრა: „საყვარელნო დანო და ძმანო! წადით თქვენ, ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ. მე ნუ მიცდით; ჩემი ცდა თქვენ ხეირს არ დაგაყრისთ. თქვენც დაილუპებით, მე ხომ ეს არის ვილუპებიო. ყველანი ცრემლის ფრქვევით გამოეთხოვენ და გაუდგენ თავიანთ წასასვლელ გზასა.

დადგა ზამთარი. თეთრათ გადაილესა მთები, ტყე, მინდორი. ყველა—სულდგმული თუ მცენარე სიცივით ცახცახებდა; ყველას აშინებდა სიკვდილი იმიტომ, რომ საზრდოს შოვნა გაძნელდა. ბუნებას მაგრა დაჰკეტა თავისი მდიდარი სალარო. მგლები შიმშილით დაძრწოდნენ და ყმუოდნენ; მელები დაათრევედნენ დიდრონ კუდებს და ცბიერათ აწერდებოდნენ აქა-იქ დეღამიწას, ეგები საღმე მშრალი ადგილი ეიპოვოთ, რომ თავის სოროს წაეაწყდეთო, მაგრამ ამაოთ. ხარბათ გაიკტირებოდნენ სოფლებისკენ; იქ ბევრი მსუქანი ბატი და ინდოური დაგოგავს, იქიდან მოისმის მამლის ყივილი, მამალს გარ-

საქართველოს  
პატარა ბიბლიოთეკის

საქართველოს  
პატარა ბიბლიოთეკის



შემო ახვევია ჩასუქებული დედლები. მაგრამ უბედურობა ესაა, რომ კაცები ხაფანგს უგებენ მტაცებელთ, ძაღლები ფხიზლობენ და მთელი ღამე ჰყეფენ. ეჰ, წახდა დროება, ყველამ ისწავლა ყაღარი ცხოვრებისა! კურდღლები ფეხით ჰქექდენ თოვლს, რომ ამოეჩინათ ხმელი ბალახი საზრდოთ. შაშვები და ჩხართები გუნდათ ედებოდენ კუნელს, ფითრს და იმით იცავდენ სულსა.

ჩვენი მწყერი კი იჯდა ცეცხლისაგან გატუსულ ყუნჭის ძირას. მშრალი ალაგი ეპოვნა და იქ შეეფარებინა თავი. მობუზული იჯდა, თუმცა წყლული აღარა ტკიოდა. ახლა მწყერი სულიერათ იტანჯებოდა; აქ ზაფხულობით ყველგან საზრდო ჰქონია, ყანებით, სიმინდებით დაფარული ყოფილა არე-მარე, დღეს კი ყინულს და თოვლს დაუჭერია მისი ადგილი. ვერსაიდან ვერ ამოიღებს იგი საზრდოს. რა საშინელება ყოფილა ზამთარი. მწყერს არასოდეს არ გამოუცდია. მოაგონდა თავისი ამხანაგები, მოაგონდა იქაური მინდვრები და ჰინახულები. აქ თუ ზამთარია, იქ ზაფხულია; მისნი მეგობარნი და მოძმენი მხიარულათ ატარებდნ დროსა. იცის კარგათ მწყერმა რომელს მხარეზედაც არის საზამთრო ბინა, მაგრამ ამას არ შეუძლიან იქ მისვლა, გარშემო აყუდებულან დიდრონი მთები, წამდა-უწუმ ისეთს ბუქს, კორიანტელს ასტეხენ, რომ მზის სხივებსა ჰუარავენ, როგორ შეუძლიან იმ მთაზე გადასვლა... ოჰ, როგორი საყვარელი იყო მისთვის ეს არე-მარე აჰ ორი-სამი თვის წინათ და ახლა კი შეეჯავრა. ეს ხომ მისი სამშობლოა; ავერ ორმოცი ნაბიჯი არ იქნება სულ, სადაც დედამ ისა და მისი და-ძმები ერთათ გამოჩეკა ყანაში და იქვე გაზარდა. რატომ არ უყვარს დღეს მწყერს ის ადგილი, სადაც თვალი აახილა, როგორც ყველა სულდგმულს? იმიტომ რომ მას აღარ არგია, უსარგებლო შექმნილა; დედა დედინაცვალზე უარესათ ეპყრობა, დღეს იქიდან ქარს მოაქვს ნამქერი და ზედ აყრის, უნდა დაჰფაროს, შიან და საქმელი არსადა ჩანს... რამდენჯერ ღოცულობდა საბრალო, ევედრებოდა ღმერთს, რომ ერთი დღე ეჩვენებინა ისეთი, როგორიც ზაფხულში ენახა, რომ

ქიქუცხიბაბი  
ქიქუცხიბაბი  
ქიქუცხიბაბი

# მ წ ე რ ი

გადასცილებოდა მთებს, იქით გადაფრენილიყო, მაგრამ მისი ედრება ამაოთ ჩრებოდა; რამდენჯერ თითონაც ეცადა, მაგრამ ქარიზხალმა უკუ აქცია და ჩამოაგდო ისევ დაბლა ხეობაში...

მწყემსებისაგან გატუსულ ყუნჭის გვერდზე, სადაც მწყერს თავი შეეფარებინა, თხილი იდგა; თხილზე შაში შემოჯდა, ისიც საზრდოს დაეძებდა; მაშ სხვა რა შეაწუხებდა, გამტყნარებული იჯდა, ან კი ვის მოაგონდებოდა ახლა გალობა?! ზამთრობით აღარა ჰგალობენ ჩიტები: მწუხარე კილოზე ყივიან და შეწუხებულები აქეთ-იქით აწყდებიან. შაშეს კენესის ხმა შემოესმა ძირიდან; ყვითელი ნისკარტი გვერდზე მიიღო, თვლები დააღმაცერა, მწყერი დაინახა და ჩამოსძახა.

— გოგო, შე საცოდავო, რას აკეთებ მანდა? ამ დროს რა გინდა შენ აქა? ახა ღმერთო ჩემო:—სხვა მწყერები ყველანი წავიდნენ რამდენი ხანია. აქ რომ დარჩენილიყვენ სულ ერთიანათ გაწყდებოდნენ. მიკვირს შენ რამ გაცოცხლა? ხეზე შენ ვერ შეფრინდები საცოდავო, რომ ან კუნელი სადმე მოჰკენკო, ან ფშატი, აბა რა დაგარჩენს?!

მწყერმა უამბო თავისი თავ-გადასაყალი, შაშესაც ფრიად შეეცოდა იგი.

— ძალიან გემშევა?

— ოჰ, ძალიან დაძმობამ. უპასუხა მწყერმა.

— მოდი ეცადე, აფრინდი წავიდეთ ერთათ; მე ვიცი ერთ ადგილას კარგი მსხმოიარე კუნელი.

— ჰმ, რას მარგებს, შენ გენაცუალას ჩემი თავი? მიუგო მწყერმა: ხეზე ხომ იცი, მე ვერ შეეჯდები.

— ოჰ, მართლა. ეგ რალა ხათაბალა უნდა იყოს?! ფრენით მინახუნხართ, კარგა დაფრინავთ და ხეზე რატომ არ უნდა ჯდებოდეთ? ეცადე, გაზედე. იქნება არ ცდილხარ. ყველა საქმე ცდისაა.

— ჯიშათ არ მოგვიდის, დობილო, ღეთისაგან არა გვაქვს ბრძანება.

— ჰმ... ხათაბალა... როგორი ცუდი საქმეა. ამბობდა შამგო თავისთვის შეწუხებით და ოხერა-კენესით.

მ ე ო რ ე მ წ ე კ რ ი.

## II.

ხოლო ის კაცი იყო, ხნიერი, დიდი ტანჯვა-ვაების მნახველი. კარგა ხანია, რაც ესეც მოჰსწლტა თავის საყვარელ მეგობრებს და ამხანაგებს. ვინ იყვენ ისინი?—მისი ცოლი და შვილები, მათთან ერთათ დიდი სიმდიდრე. დიდი ხანია გიგოლა მარტო-მარტო ცხოვრებს თავის სახლში, ერთ მიყრუებულ ადგილს თავის სამშობლოში; მოშხამულია მისი ყოფნა და სიცოცხლე. ქვეყანა იძახის: „უიღბლო, უდოვლათო კაცია“ო.

დღეს გიგოლა ლოგინათ ჩაეარდნილი, მძიმე ავთმყოფია და ამბობს: „ღმერთო, შე დალოცვილო, მიიბარე ჩემი ცოდვილი სული“. მოსწადებია იქ გადასახლდეს, სადაც კარგა ხანია გაისტუმრა თავისი საყვარელი ქალთა-მზე და მასთან ერთათ ოთხი ვაჟი-შვილი. ოჰ, როგორ უყვარდა თავისი ქალთა-მზე, სიშვენიერით და სათნოებით განთქმული დედაკაცი. დღესაც უყვარს, დღესაც. უნდა შეჰხედეს იქ, საიქიოს მაინც, ერთხელ კიდევ დაინახოს თვალითა.


გიგოლას საწოლის შორი-ახლოს, ბავაზე აბია რქა-მოტეხილი ხარი—ნიკორა. ზარმაცათ ილოღნება და ხან-და-ხან გადმოავლებს თვალს თავის პატრონს, როცა იგი გულიდან ამოიკენესებს. ნიკორაც დაბერებულა. ვერ არის კარგ გუნებაზე, რალაც ცუდ გუნებაზეა; ცუდს რასმე მოელის.

დედა-ბოძზე გიგოლას პირდაპირ ჰკიღია მისი ხირიმი, დამბაჩა და დიდი ხანჯალი.

გარეთ ქარი ლულუნებს, ხან უსტვენს, ხან თითქოს წუწუნებს,

თითქო ბუნების უბედურებაზე ტირისო. მოასკდება კარებს და თო-  
ვლის ნამქერს გადმოაბნევს სახლში. აი ქარმა დაუბერა ძლიერათ,  
შემოალო კარები და ნამქერთან ერთათ ტყლაპივით რაღაც გადმო-  
აგლო, პიდაპირ გიგოლას გულზე. გიგოლამ ხელში აიყვანა, მწყე-  
რი იყო. „ჰმ, თქვა გიგოლამ და ჩაფიქრდა. — მწყერი არ ინძრევა:  
დახუთულია, დაკრუნჩხული, საწყალი, საცოდავი! განაგრძო გი-  
გოლამ მისუსტებული ხმით. ამას რაღა უნდოდა ამ ზამთარში აქა!“  
უნდოდა მიაღერებოდა, მაგრამ თავი აღარა ჰქონდა. თვალები მო-  
ეცრემლა, მწყერს ხელიდან არ უშვებდა: „საწყალო, საწყალო, შენც  
ჩემსავით საწყალო!“ ამბობდა გიგოლა. მწყერი აიყვანა და იქვე პა-  
ტარა კოდი იდგა, ხორბლიანი, იმაში ჩასვა, თითონ კი მიესვენა  
ხმელს კუნძზე, რომელიც ბალიშის მაგიერათ ედო თავ-ქვეშ. რამ-  
დენჯერმე ამოიოხრა, თვალები მიაეღ-მოაეღო თავის საბრალო  
ქოხს და განუტევა სული... ნიკორამაც მიმით ამოიოხრა და წაიფ-  
შენა. მწყერი კი მობუზული, თავბრუ-დასხვული იჯდა, ჯერ გონს  
ვერ მოსულიყო.

კახა-ფშაველა.



## გულკეთილი ლევანი.



ინ... მინ... მინ... მოისმა ზარის სმა, რომელსაც დაქანცული შეგირდები გულის ძეგრით მოელოდნენ, როდის იქნება, გაკვეთილი გათავადესო.

მოსწავლეებმა თავისუფლათ ამოისუნთქეს, ზოგმა მთქნარება დაიწყო, ზოგმა ზმორება, რადგანაც გაკვეთილი გათავდა და ამგვარი საქციელისათვის მასწავლებელი მათ ვედარ დასჯიდა. თორმეტი წლის ლევანი შეისვე სასწავლებლის ეზოში გამოვარდა, იეიდა ფუნთუშა-ზური, ვეელი და კემრელებათ შეექცეოდნენ, როდესაც მასთან მივიდა იმავე განუოფილების მოსწავლე, ჰეტრე და მოკრძალებით შეესვეწა: ნება მომეცი, თუ შეიძლებოდეს, ზატარა ხანს შენი „ბუნების კარი“ უჯრიდან გამოვიდოვო. — გამოიდე, მაგრამ არ დასიო! უთხრა ცოტა ხანს შემდეგ ლევანმა, რადგანაც ზირში დიდი ლუკმა ედვა და, ხანამ არ გადაულახა, ხმა ვედარ ამოიბრუნა. ჰეტრე მაშინვე კლასში გაიქცა, მონახა ლევანის წიგნები, გამოიღო „ბუნების კარი“, გადაშალა იმ ალაგას, სადაც მასწავლებლისაგან მოცემული სახეპირო იყო, დაიდვა წინ და დაუწყო გულ მოდგინეთ კითხვა... წაიკითხავს რამდენსამე სტრი-

ქონს, შეძვევ დაფარებს წიგნს ხელს და ცდილობს, წა-  
კითხული ზეპირათ გაიმეოროს; ნახევარი კიდევ დაისწავ-  
ლა როგორც იქნა, მეორე ნახევარიღა დარჩა, ამასაც მა-  
ლე დაისწავლის. მაგრამ ამ დროს გაისმა საშინელი ძინ...  
ძინ... ძინ... და ჰეტრეს ტანში ჟრუნტელმა დაუარბ, პირ-  
ში ნერწყვი გაუშრა.

შევირდები კლასში შემოხიზინდენ; მალე მასწავლე-  
ბელიც შემოვიდა. უოველივე მიწენარდა. მასწავლებელმა  
გადაძალა „ჟურნალი“, დანიშნა, ვინ იყო და ვინ არა,  
შეძვევ ჩაასველა და გამოსწია შევირდებისაკენ.

— დღეს რა გქონდათ სასეპიროთ? იკითხა მან.

— ღამურა! უხასუსა რამდენიმე ხმამ.

მასწავლებელმა გადაავლო თვალი მოწაფეებს, შე-  
ძვევ მიბრუნდა ჰეტრესაკენ და უთხრა:

— აბა, ჰეტრე, სასეპიროს მოჭევიო.

ჰეტრეს თითქო ცივი წყალი გადაასხეს გულზეო, ეს  
სიტყვები ისე მოხვდა: რას მოჭევეს, როდესაც ნახევარიც  
არ იცის ზეპირათ? ერთმა ახრმა გაუელვა: მოდი ვეტყვი  
მასწავლებელს, რომ ვერ მოვასწარიო, მაგრამ არა... თა-  
ვის დღეში მასწავლებლისათვის არ უთქვამს, გაკვეთილი  
არ ვიცო და ვერც ახლა ეტყვის.. წამოხტა მარდათ  
ზეზე და მოჭევა სასეპიროს. პირველი ორი ტაეპი კარ-  
გათ წაიკითხა, მესამე აერია, მეოთხეში სულ დაიბნა,  
ორიოდე სიტყვა წამოიძახა და შედგა.. მასწავლებელი

მიანგრდა; ჰეტრეს თავი ჩაუქინდრავს, უურები დაწითლებია, სახესე სიმწარის ოფლს ასხამს; დღეს ჰირველი შემთხვევაა, რომ მან გაკვეთილი არ იცის.

— არ მოველოდი შენგან ჰეტრე, წარმოთქვა მასწავლებელმა, — ბეჯითი მოსწავლე მეკონე და შენც ზარბაცი ეოფილხარ!

ჰეტრეს თვალები აემღვრა, ცრემლები წამოუვიდა, ორიოდე მაგიდასაც დაეწვეთა.

— წიგნი არა მქონდა! თქვა მან აკანკალებულის ხმით.

— ზარბაცი ეოფილხარ, გაიმეორა კიდევ მასწავლებელმა, რომელმაც ჰეტრეს სიტყვები ან ვერ გაიგონა, ან უურადღება არ მიაქცია და შემდეგ სხვა შეკირდებს ჰკითხა საზეპირო. ჰეტრეს გარდა გაკვეთილი ეველამ კარგათ იცოდა, ეველა მარდათ და თამამათ ამბობდა...

ჩაფიქრებული ზის ჰეტრე, მას არაფერი ეეურება. აქამდის ეგონა, უწიგნოთ გაკვეთილებს ვისწავლი როგორმე და სხვებს არ ჩამოვრჩებიო, დღევანდელმა დღემ კი ნათლათ დაანახვა, რომ უწიგნოთ გაკვეთილების სწავლა ძნელი და შეუძლებელია. მაგრამ ან კი რა ქნას, საიდან ექნება წიგნი, როდესაც მის საბრბლო დედას ფული არა აქვს, დღიურ ლუკმას ძლივსა შოულობს, უფულოთ კი წიგნს არავენ არ მისცემს. ჰეტრეს თვალ წინ წარმოუდგა თავისი სისაწყლე. აქამდის ის თითქო ამას უურადღებას არ აქცევდა, გულს არ იტყნდა, დღევანდელმა შემთხვევამ

კი მას წინ გადუშალა მისი გაჭირვებული მდგომარეობა და ამიტომ ზის ჰეტრე ასე ჩაფიქრებული. სარის სმა მოისმა. გაკვეთილი გათავდა. ემაწვილები მწკრივით დადგენ, ერთმა ლოცვის კითხვა დაიწყო, ჰეტრეს არა ეუბნებარა, გაუნძრევლათ ზის ერთ ალაგას, მსოლოთ როცა ერთმა მოწაფემ მუჯღუგუნი ჰკრა — ადექო, ჰეტრე ზეზე წამოდგა, თუძცა არ ესმოდა, რათ.

მაღე კლასის ოთახი დაცალიერდა. ჰეტრე ისევ ერთ ალაგას იდგა. როცა მოსამსახურე შემოვიდა ოთახის დასაკველათ, მაშინ მოვიდა გონს ჰეტრე; მოჰკვიდა ხელი თავის დახეულ წიგნებს, ორ ძველ რეეულს, ამოიხვნეშა და გასწია სახლისაკენ.

## II.

ლევანი დიდი ხანია, სახლში მოვიდა; ისადილა, დაისვენა, ითამაშა და ახლა გაკვეთილების სწავლას შეუდგა. გადაშალა წიგნი, მონახა საზეპირო და, კითხვა რომ დაიწყო, თვალ წინ წარმოუდგა ჰეტრე და გაახსენდა მისი სიტყვები: — „წიგნი არა მქონდა!“ ლევანმა მაშინ ამ სიტყვებს უურადღება არ მიაქცია, ახლა კი გულში რაღაც სიბრალული იგრძნო და ჩაფიქრდა. — წიგნი არა მქონდაო, რატომ არა აქვს ნეტავი წიგნი, ამბობდა ლევანი თავის გულში. ლევანს დიდი ხნის ფიქრი არ დაჭირვებია, რო-



დესაც თვალ წინ წარმოუდგა ძველ ხალხთში გახვეული ჰეტრე და წამოიძახა: — საწუალს ფული არ ექნება და წიგნსაც იმიტომ ვერ იუიღდაო. ამგვარი მდგომარეობა ლევანს არ ჰქონდა გამოცდილი;



რა წიგნიც დაჭირდებოდა მას, დედამა მისვე უუიღდა. ოღონდ კი სწავლის სურვილი ჰქონდა დღეში თუნდა ათ წიგნს უუიღდენ. ეოველ დღე ის ორსა და სამ შაურს შაქრის ჰურებში ხარჯავდა, ჰეტრეს კი იმდენი ფულიც არა აქვს, რომ ის წიგნი იუიღოს, ურომლისოთაც მას სწავლა არ შეუძ-

ლია. გულკეთილ ლევანს თვალები აემღვრა, წამოდგა ხეზე და გადაწევიტა, დედისათვის ფული ეთხოვა და ჰეტრესათვის მიეცა წიგნის საუიღლათ. ის ეო დედანთან გაქცევას აზირებდა, რომ თავში სხვა აზრმა გაურბინა:

— მე სომ ეოველ დღე დედანეში ორ შაურს მამლევეს საუსმისათვის, წინდაწინვე გამოვართმევე იმდენს, რომ ჰეტრესათვის წიგნის საუიღლათ მეეოს და მე კი უსაუსმით ვიქნები, რა მიჭირს!

ლევანს თვალებში სიხარულის ნაჰერწკალმა გაუეღვა,

სახესე ღიმილი მოჰკვარა; მაშინვე გავარდა მეორე ოთახში, მოესვია დედას კისერზე და მოუაღერსა:

— დედილო, შენ გენაცვალე, ორი კვირის საუხმის ფული წინდაწინ მომეცი და ეოველ დღე შენი შეწუხება აღარ დამჭირდება!

— რა შენაღვლება, უპასუხა დედამ, — მხოლოდ თუ ძალე დახარჯე, შენ თავს დაემდურე; სანამ ვადა არ გავა, მეტს აღარ მოგცემ. მეორე დღეს ლევანმა გამოართვა დედას ფული და გასწია სასწავლებელში. გზაზე შეუსვია წიგნის მადახიაში, იეიდა „ბუნების კარი“ და განარებულმა მოჰკურცხლა სასწავლებლისაკენ...

ჰეტრე დიდი ხანია უკვე სასწავლებელში მისულიყო, გამოერთმია ამხანაგისათვის წიგნი და სახეპიროს სწავლობდა. ლევანს უნდოდა ახალი წიგნი ამოეღო და ჰეტრესათვის მიეცა, მაგრამ რცხვენოდა და ვერა ჰბედავდა. ბოლოს გადაწევიტა; ჰეტრეს მაგიდას უჯრაში ისე შევდებ ამ წიგნს, რომ ვერავინ დამინახოსო. მართლაც ლევანი ასე მოიქცა და ახალი ნაყიდი „ბუნების კარი“ ჰეტრეს ძველ წიგნებში შედვა.

როდესაც გაკვეთილები გათავდა და მოსწავლეები სახლში უნდა წასულიყვენ, ჰეტრე მასწავლებელთან მივიდა, ახალი „ბუნების კარი“ მიიტანა და დარცხვენილის ხმით წარმოთქვა: ეს წიგნი ჩემ უჯრაში იყო და არ ვიცი ვინ იაო.

ვევლა შევირდებმა უარე განაცხადეს, ჩვენი არ არისო. მასწავლებელი მცირე ხანს ჩაფიქრდა, გადაშალა ასხალი „ბუნების კარი“ და სასე გაუბრწვინდა: — შეტყეულია, რომელიმე გულკეთილი შევირდი იხამდა ამასო, — იფიქრა იმან, ამიტომ გამოკითხვა აღარ გაუგრძელებია, მიუბრუნდა ჰეტრეს და უთხრა:

— რადგანაც ეს წიგნი აქ არავისი არ ეოფილა, შენ კი არა გაქვს, ამიტომ შენ წაიღე და, თუ ჰატრონი აღმოუჩნდა, მაშინ დაუბრუნეო.


ჰეტრემ თავი დაუკრა და გაბრუნდა.

გადის დღეები, გადის თვეები. ჰეტრემ ასლა გაკვეთილი ეოველთვის კარგათ იცის და მასწავლებელიც მადლიერი ჰეავს.

ლეჯანი თუძცა მთელი ორი კვირე უსაუზოთ იეო, მაგრამ ერთხელაც არ უნანია, ასე რათ მოვიქმედეო.

ვანო.





## გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი .

ღემ მოიმატა... მოღვნა დაეტყო  
სოფელ-ქვეყანას  
და მას მზე თავის სხივებსა უგ-  
ზენის ვითა მანანას!..

სიცივე მიდის, იკარგვის, თანდათან  
მიწა თბებაო;

ყველა არსება კისკასობს: „ოჰ, გა-  
ზაფხული ღვებაო!..“

ხეები მოჩჩენ თეთრ საცმელს  
და ღარჩენ ვითა ნაბანი,  
ღეღამიწასა ეხდება სასტიკი, თოვ-  
ლის საბანი!..

სიცივე მიდის, იკარგვის, თანდათან მიწა თბებაო;  
ყველა არსება კისკასობს: „ოჰ, გაზაფხული ღვებაო!..“

მზე ძლიერდება და სითბო ღღე-ღღეზე ემატებაო;  
თოვლს მით ეღვევა ძალ-ღონე ქვეყანა რილოვდებაო!..

სიცივე მიდის, იკარგვის, თანდათან მიწა თბებაო,  
ყველა არსება კისკასობს: „ოჰ, გაზაფხული ღვებაო!..“

შაშვი, ჩხართვი და ბელურა მზისა სითბოსა შეხარის:  
„ახლა აღარა გვიშავს-რა, სითბო დაგვიდგა ეს არის!..“

სიცივე მიდის, იკარგვის, თანდათან მიწა თბებაო;  
ყველა არსება კისკასობს: „ოჰ, გაზაფხული ღვებაო!..“


მოხუცებული გაზაფხულს შეტრფის, უხარის გულია;  
მეც გამითბება ძვალ-რბილი, ამბობს და მხიარულია.

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა


საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

სიცივე მიდის, იკარგვის, თანდათან მიწა თბებაო,  
 ყველა არსება კისკასობს: „ოჰ, გაზაფხული დგებაო!..“  
 მუშაკი გაზარებული სახნის-საკვეთსა ჰპირავსო,  
 მზათ არის სამუშაოთა, ღმერთს ლოცვას ხშირათ სწირავსო.  
 სიცივე მიდის, იკარგვის, თანდათან მიწა თბებაო,  
 ყველა არსება კისკასობს: „ოჰ, გაზაფხული დგებაო!..“  
 წყლები მატულობს... ქაფ-ქაფით ქვეითკენ ეშურებიან,  
 ბარის ადგილებს—მიდამოს ტკბილათა ეუბნებიან:  
 „მთაც გარილოვდა ეს არის და იქაც სითბო ჩადგაო!..“  
 ყველა არსება კისკასობს: „ოჰ, გაზაფხული დადგაო!..“

დასინი.



ქობულაძე  
 ქობულაძე  
 07538



ჯემს გარფილდის ცხოვრება.

XXIV.

ეუძლებელი იყო, რომ გარფილდივით ნიჭიერი ორატორი პოლიტიკას არ გაეტაცა. ოგიოს შტატის მეთაურებმა იგი თავის მომავალ კანდიდატად დაიგულეს და არჩევნების დროს ყოველთვის წინ წამოაყენებდნენ ხოლმე. შემოდგომაზე, როდესაც

აირამში დაბრუნდა, ჯერ ინსტიტუტში არც კი დაბინავებულყო, რომ სხვა-და-სხვა მხრიდან პატიჟობა დაუწყეს:—ამ და ამ საგანზე წარმოთქვი სიტყვაო. რესპუბლიკელების დასმა, ზანგთა გათავისუფლების მხურვალე მოხრემ, მაგრათ ჩასჭიდა ხელი ჯე'სს, თუმცა იმათ, ჰყავდათ კიდევ მეთაურათ—ფრიმანი, სწორეთ ისეთივე ნიჭიერი, როგორიც გარფილდი იყო.

სწორეთ ამ დროს ერთმა შემთხვევამ ჯემს გარფილდს გამოაჩენინა მისი ორატორული ნიჭის სიმძლავრე. ერთ პოლიტიკურ კრებაზე ვილაც გარტმა იმ ზომამდე საზიზლარი მიმართულების სიტყვა წარმოთქვა, რომ მსმენელები მოთმინებიდან გამოვიდნენ და ერთხმად გაიძახოდნენ—უნდა უსათუოთ გარფილდმა გაამტყუნოს ეგ უსინილისო კაციო. (გარტი აღიარებდა ზანგთა მონობის საჭიროებას და ამტკიცებდა: ზანგები ბედნიერები არიან ბატონების ხელშიო).

— იმ ვაჟბატონს ჯერ დიდის სიამოვნებით მიეტყუებდი, ხუმრობდა გარფილდი, — და მერე დაეუმტკიცებდი, რომ შემცდარია.

— ასე თუ ისე საჭიროა ეუჩვენოთ ქვეყანას მისი უეციობა და

უსინიღისობა — გაიძახა და გაშმაგებული ახალგაზღობა. — ამისთანა რამეებს ვერ დავტოვებთ უყურადღებოთ, ეს თქვენი საქმეა გარფილ-ლო.

გარფილმა გაიმარჯვა კიდეც. დამშვიდებით და ზრდალობიანათ დაარღვია ყველა მისი საბუთები და მით საერთო აღტაცება გამოიწვია რესპუბლიკელთა შორის. — კანდიდატათ უნდა ამოვირჩიოთ, ეს თავისუფლებისათვის თავ-დაღებული მებრძოლი იქნება და ჩვენ პრეზიდენტათაც მაგას ამოვირჩევთო, ისმოდა ხმები ხალხში. იქვე დაუწყეს ხვეწნა — უსათუოთ გამოდი ინსტიტუტიდან და პოლიტიკურ მოღვაწეობას შესწირე თავიო.

— არ გამოვალ, მტკიცეთ უპასუხა ორატორმა; — აჰ, აირამში; ეიზოვე ყველაფერი რაც კი ჩემთვის საქირო იყო. ვიშრომებ, სანამ ძალ-ღონე არ შემომეღლევა, და არ ვუღალატებ ჩემ მოვალეობას.

1859 წელს უილიამის-კოლონეჯის უმთავრესმა წარმომადგენელებმა გარფილდს, სულ სხვა დაწესებულების დირექტორს, მეტისმეტი საპატიო საქმე მიანდეს: — თხოვეს საჯარო სიტყვა ეთქვა იმ დღეს, როცა მათი სასწავლებლის უფროსი მოსწავლეები კურსს დაამთავრებდნენ. გარფილდმა მიიღო წინადადება და ცოლით მასაჩუსეტის შტატში გაემგზავრა. გარფილდი მხოლოდ პირველათ მოგზაურობდა თავის სიამოვნებისათვის. მოგზაურობის დროს ყველგან გულწრფელის აღტაცებით ეგებებოდნენ, მაგრამ მას ყველაზე უფრო გაუკვირდა და თანაც ესიამოვნა, როდესაც ქალაქი მენტორი დეპუტაციით მიეგება და მისაღმების შემდეგ საოლქო სენატორის თანამდებობაზე კანდიდატობა უძღვნა.

— როგორ? წამოიძახა გაკვირვებულმა გარფილდმა. — ეგ ადგილი ხომ ბატონ პრენტისს უჭირავს?

— ის უეცრათ გარდაიცვალა, უპასუხეს წარმომადგენელებმა. პრენტისი მოხუცებული კაცი იყო, პატივცემული მთელს ოლქში; რესპუბლიკელებს კონგრესის პრეზიდენტათ უნდოდათ ამოვირჩიათ, მაგრამ მოულოდნელმა სიკვდილმა ეს განზრახვა ჩაუფუჭა და მაშინ

დასმა მის სამაკეიროთ აირამის ინსტიტუტის ახალგაზდა დირექტორი დაიგულა. — გარფილდო, ჩვენი ოლქის რესპუბლიკელთა დასს ახლა თქვენ ჰყავხართ პირველ კანდიდატათ, ეუბნებოდენ მას დეპუტაციის წევრები.

— დიდათ გმადლობთ მაგ პატივისცემისათვის; მიუგო გარფილდმა, — მაგრამ არ ვიცი, ვიკისრებ თუ არა მაგ თანამდებობას!

— ერთი თქვენი სახელი საკმარისი იქნება, რომ უმეტესობა ჩვენსკენ წამოვიდეს. იმედი გვაქვს, რომ უარს არ გვეტყვიით.

— რალა ეუყო ინსტიტუტს? თქვენ რას მიჩივებთ? ერთ და იმავე დროს სენატორისა და სასწავლებლის დირექტორის მოვალეობის ასრულება ხომ შეუძლებელია.

— სენატის სამსახურისთვის საჭიროა მხოლოდ რამდენიმე კვირა წელიწადში, იფიქრეთ კარგათ, მოელაპარაკეთ თქვენ კომიტეტს და ერთ კვირას შემდეგ შეგვატყობინეთ, თუ რა გარდაწყვეტილებას დადგეთ.

გარფილდს აზრათაც არ მოუვიდოდა, რომ სამოსწავლო კომიტეტს და მზრუნველ რჩევის წევრებს ძალიან სურდათ მისი სენატორობა. როდესაც დაბრუნდა აირამს და ჰკითხა მათ, თუ რა აზრისანი იყენ ამის შესახებ ყველამ ერთ ხმათ თხოვა: ნუ უარ-ჰყოფ მაგ წინადადებასაო. დადგა არჩევნების დღეც გარფილდი კოლუმბუსში მიიწვიეს, რომ დასწრებოდა იმ სასიხარულო წამს, როდესაც მას აირჩევდენ. ერთმა წარმომადგენელმა ახალგაზდა კანდიდატის დანახვაზე გაოცებით იკითხა.

— რა ამბავია? სამასხაროთ ხომ არ იჩივებთ ამ ბაღლს სენატორათაო?

— ეგ შეხედულობით არის ახალგაზდა და არა ჭკუით, მიუგო რესპუბლიკელთა დასის ერთმა მეთაურმა.

— აგრეც რომ იყოს, მაგის ხანში შეუძლებელია პოლიტიკური გამოცდილება ჰქონდეს კაცს.



— აი მოიცადეთ, დაუგდეთ ყური მის ლაპარაკს და უცბათ გამოიცილოთ აზრს.

გათავდა თუ არა არჩევნები, გარფილდმა წარმოთქვა სიტყვა, შესანიშნავი ძლიერი მქვერ-მეტყველებით და ნათლათ გამორკვეულის აზრით.

— ყოჩაღ! აღტაცებით წამოიძახა ისევ იმ წარმომადგენელმა, ეს კაცი—ძალაა, ძალა! გარფილდი დიდის ხმის უმეტესობით ამორჩეულ იქნა და 1860 წ. იანვარში, სენატში თავის ადგილი დაიჭირა. მისმა ამორჩევამ საშინელი აღელვება გამოიწვია. სამხრეთის შტატები იმუქრებოდნენ განდგომას და ომის დაწყებას, თუ მომავალ არჩევნებზე პრეზიდენტად რესპუბლიკელი გავიდოდა. ჩრდილოეთის შტატებიც შეიარაღდნენ, უსათუოთ ზანგებს თავისუფლება უნდა მიენიჭათო. გარფილდი, მიუხედავად ახალგაზდობისა, სწორეთ ისეთი კაცი იყო, როგორიც იმ დროს სახელმწიფო სენატს ეჭირებოდა. მის ამხანაგებათ სენატში, სხვათა შორის, ორი ნიჭიერი ახალგაზდა კაცი იყო: ერთი—კოკსი, შემდეგში ოგიოს შტატის გენერალ-გუბერნატორი და შინაგან საქმეთა სამინისტრის მდივანი. ის და გარფილდი არჩევნების დროს ერთად დაბინადდნენ და ძალიან მეგობრულათაც ცხოვრებდნენ. მეორე იყო მონრო, ობერლინის კალლექჯის პროფესორი. სამივე ახალგაზდა სენატორი მხარ-და-მხარ უდგენ ერთმანეთს და მხურვალეთ იბრძოდნენ მონობის წინააღმდეგ.

გარფილდის სენატორობის მეორე წელიწადს, როცა პრეზიდენტად ლინკოლნი იქმნა ამორჩეული, სამხრეთის შტატებმა მოინდომეს განდგომა. ასე რომ უომობა შეუძლებელი იყო. მეტათ მნიშვნელოვანი ეროვნული კითხვები იყო გამოსარკვევი და გარდასაწყვეტი: უნდა მოემზადოს თუ არა საომრათ ოგიოს შტატი? აქვს თუ არა სამხრეთელებს განდგომის უფლება? შეიძლება თუ არა მათ წინააღმდეგ ძალ-მომრეობის ზომების მიღება? საჭიროა თუ არა მოლალატე დაისაჯოს? გარფილდს უნდოდა ეს ოთხი საკითხავი გამოერკვია, და დღე და ღამე განუწყვეტლივ შრომობდა; წიგნთ-საცავ-

ში აუარება მასალებში ჩაფლულს შინ წასვლა არც კი მოაგონდებოდა ხოლმე. გარფილდი დიდი წინააღმდეგი იყო მორიგებისა, ამას სილაჩრეს ეძახდა და პირდაპირ განაცხადა: მე ძველი დროშის ერთგული დავრჩებიო. გადაწყდა ომის აუცილებლობა. ერთხელ გარფილდმა ძილის წინ უთხრა კოკს.

— კოკსო, უომობა ხომ არ შეიძლება?


— ეგ ეჭვს გარეშეა, მიუგო კოკსმა.

— მაშასადამე მე და შენ ჯარში უნდა შევიდეთ?

— რასაკვირველია, წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ ლაჩრობას შეგეწამებენ. მაშ შეეფიცოთ ერთმანეთს, რომ ჩვენს სიცოცხლეს სამშობლოს შევწირავთ. და აღვლევებულმა მეგობრებმა მაგრათ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი.

ბატუა.

(შეპლეგი იქნება)



## ლომი და კურდღელი.

ა რ ა კ ი

„ქელილა და დამანიდან“



ლომი ერთი ადგილ-მინდორი, ყოველის სიმშვენიერით მდიდარი: საუცხოვო ჭაერი, მრავალი წყარონი და ხათსფრათ აბიბინებული ევაგილ-ბალახი ამკობდენ ამ არე მარეს. კიდევ ეს იყო მიწეცი, რომ ამ ადგილს დიდხალ ნადირთ გაეკეთებინათ ბინა, რომელთაც ხელო ეჭურათ ყოველი საღსარი უზრუნველ და განცხრომით ცხოვრებისა. მაგრამ სრულს მათ ბედნიერებას ხელს უშლიდა ერთი კარემოება: ამ ადგილის მახლობლათ იყოფებოდა ერთი მშენებარე ლომი, რომელიც ყოველ დღე დაერეოდა ხოლმე საბრალო ნადირთ და მუსრს ავლებდა. ამგვარათ უბედურთ ღხინი და სიცოცხლე ამ ლომისაგან გამწარებული ჭქონდათ.

ერთ დღეს მოთმინებიდან გამოსულნი ნადირნი შეკრბენ, მივიდენ ლომთან და ტირილითა და ცრემლით შეევედრენ: „ჰი, ხელმწიფე! ჩვენ შენი ყმანი და მოსამსახურენი ვართ, მუდამ დღე მრავალსა ირჯებით, დიდის შრომითა ჩვენგან ერთს თუ ინადირებ! ჩვენ შენისა შიშითა ჭირის მორეება ჩაცვივნულ ვართ და თქვენ ჩვენისა მებნითა შეღონებული, ჩვენ ამ ყამათ გვედრებით: თქვენც

განსვენებით ბრძანდებოდეთ და ჩვენც მშვილობა გვიბოძე-  
რომ ყოველთვის მოტაცების სრუნვაში და ფიქრში არ  
იმყოფებოდე და ჩვენც აღარ გვაშფოთებდე, ზირობას გა-  
ძლეუთ — ყოველ დღე თითო ნადირი ჩვენთავათ მოგიძღუ-  
ნათ, ბეგარას დავიდებთ, რომ არას დღეს არ მოგაკლოთ“.

ლომმა ეს ზირობა მიიღო. ნადირთ თავიანთ შორის  
ამას შემდეგ ასეთი წესი დასდეს: ჰეროდენ კენჭს და ვი-  
საც შესვდებოდა, იმას დაუყოვნებლივ ლომს უგზავნიდენ.

კენჭი შესვდა ერთხელ კურდღელს. ჩავარდა საბრალლო  
კურდღელი მწუსარების მორევში და არ იცოდა, რა გზით  
გადაერჩინა თავი, ბევრი ფიქრის შემდეგ მიძარტა თავის  
ამხანაგებს და თხოვა: „მცირეს თუ მადროვებთ, არამც  
თუ ჩემს თავს დავისხნი სიკვდილისაგან, არამედ თქვენც  
ვევლას საუკუნოთ გაკათავისუფლებთ ლომისაგანო“. ნა-  
დირნი დაეთანხმენ. კურდღელმა დაიცადა, სწამ ლომის  
სადილობამ გადაულო. ლომს ძლიერ მოშივდა და სიბრა-  
ჯისაგან არ იცოდა, რა ექნა. კურდღელი სიწინარით მი-  
სკენ წავიდა. რა მან ლომი მეტათ აღშფოთებული და ნა-  
დირთა ზირობის გატყვის და დაუნდობლობისათვის მწე-  
რომი ნახა, მოკრძალებით წარდგა და თავუხანი სცა. ლომ-  
მა ჰკითხა: „საიდან მოხვალ და ან ნადირნი რას იქმო-  
ნენო?“ კურდღელმა მოახსენა:

— მე ერთი კურდღელი გამომატანეს, რომელიც, რი-  
გისაძებრ, თქვენთვის განაწესესო. გზასე ერთი სხვა ლო-

მი შემომეყარა, ის კურდღელი გამომტაცა და თავისათვის წაიღო. ბევრი ვესვეწე, ბევრი ვეუბენ: ნადირთ-სელმწიფის სადილია, მისთვის ძღვნათ მიმუავს მეოქი, მაგრამ არ მიხმინა და ასეთი ზასუსიც მომცა: „ეს სანადირო ჩემია და ეს ტყე ჩემი სამკვიდროა; არავის უფლება არა აქვს ჩემს გარდა აქ ბატონობა დაიწუოს და ვინც დაიწუებს, ვაი იმის ბრალიო!“ მე ამ ქადილის გამკონს ძლიერ შემემინდა და გამოჰარვით მოვრბი, რომ ეს ამბავი მხესავით შუქ-განფენილს ჩვენს ბრძენ ზატრონს მოვასსენო.

ამის გაგონებამ ლომი საშინლათ ააღელვა, დიდათ განრისხდა და ბრახ მორეულმა ჰკითხა კურდღელს: „შეგიძლია, რომ ის მიჩვენო? ერთი თვალი კი მოვკრა და მე ვუჩვენებ, ვისთვის გამოუცხადებია მტრობა და შუღლიო!“

კურდღელმა ჩვენების სიანხლოვე მოახსენა და ესეც დაურთო: „მე რომ მისგან სელმწიფე უკადრისათ და ურიკოთ ნახსენები ვნახე, თუცა შემძლებოდა, მსწრაფლ სულს გაგანთხეინებდიო“, ესა თქვა და წინ წაუძღვა. ლომი, მისი საცთური სიტყვით გაზვავებული, უკან გაჭევა. კურდღელმა ეს ლომი ერთ ჭის ჰირას მიიუვანა, რომელშიც კამკამა წყალი ნამდვილ სარკესავით ეველას თავის სახეს უჩვენებდა და მოახსენა: „ჩვენი მტერი აქ არის, სელმწიფეო, მაგრამ მე მისი დიდათ მეშინიან და თუ სელში ამიუვან, მაშინ გიჩვენებო“. ლომმა უსმინა და სელში

აიუყანა. რა ჭაში ჩაიხედა, ლომმა თავისი თავი დაინახა; მას ეგონა ეს სხვა ლომია და ჩემი სასადილო კურდღელი უპურიაო. გამწარებულმა კურდღელი უკან გადააგდო და თვალის დახამხამების-უმალ ჭაში ჩაიჭრა; ეგონა მტერს დავაძნობ და ამოვალო, მაგრამ უბედურმა ვერც ჭაში მტერი ნახა და ვერც-ღა იქიდან მას ამოსვლა ეღიწსა.

კურდღელი კი მშვიდობით შემოქცეული მივიდა და ეს ამბავი ნადირთ უამბო. ამათაც ღმერთს მადლობა შესწირეს და კურდღელსაც ასეთი საქმისა და ხერხისათვის ბეჭერი ქება შეასხეს და ჰატვი სცეს.





## აღგენა ლაზარესი.

ოცა იესო ქრისტე ქვეყანაზე იყო, მას ერთი საყვარელი მეგობარი ჰქონდა, რომელსაც სახელათ ლაზარე ერქვა. ქრისტე ხშირათ მიდიოდა მასთან სტუმრათ, ლაზარე და ორი მისი და — მართა და მარიამი — სისხარულით ეგებებოდნენ მას და ემსახურებოდნენ.

ერთხელ ლაზარე ძლიერ ავით გახდა; მასმა დებმა იმ წამსვე კაცი გაგზავნეს ქრისტესთან და შეუთვალეს, შენი საყვარელი მეგობარი ლაზარე ავით არისო.

ქრისტემ, რასაკვირელია კარგათ იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო და ამიტომ დაიგვიანა. მხოლოთ რამდენსამე დღეს შემდეგ, მას აქეთ, რაც ანბავი მოუვიდა, ადგა, წაიყვანა თავის მოწაფეები და წავიდა ლაზარესას. მაგრამ სანამ ქრისტე მივიდოდა, ლაზარე გადაცვლილიყო და დაესაფლავებინათ კიდევ. საბრალო მისი დები დიდ მწუხარებაში იყვნენ. შესობლებსა და ნაცნობებს თავი მოეყარათ და ანუგეშებდნენ ჭირისუფლებს. ამ დროს ქრისტეც მობძანდა.

მისი მობძანება ჰირველათ მართამ გაიგო, მიეგება მას წინ ტირილით და შეჩივლა:

„უფალო! შენ რომ აქ ყოფილიყავი, ჩემი ძმა არ მოკვდებოდა. მაგრამ ახლაც მკერა, შენ ეველაფერი შეგიძლია და, თუმიც ინებებ, ალაღვენ მას“.

მაცხოვარმა უნასუხა: „ნუ გეძინია, მართა! თუ გრწამს, რომ მე ვარ ქრისტე, ადღება ძმა შენია“.

გასარბეულმა მართამ მოახსენა: „დიას, უფალო! მრწამს, რომ შენ ხარ ქრისტე, მე ღვთისა, მოსული ქვეყნათ“.

მერმე გაექანა დასთან და ჩუმით აცნობა, ქრისტე მობძანდაო. მარიაში ადგა და გაძოვიდა მისაკებებლათ. ხალხს ასე ეგონა, საფლავსე მიდის ძმის სატირლათო და გაჭყვა უკან.

როცა მარიაში მიუახლოვდა ქრისტეს, მწუხარეთ დაეცა მუხლებსე მის წინაშე და შესტირა: „უფალო! შენ რომ აქ ეოფილიუავი, ჩემი ძმა არ მოკვდებოდაო“.

ქრისტემ რომ მარიაში და ხალხი, ასე შეწუსებული დაინახა თვითონაც ცრემლები მოადგა თვალებსე.

ხალხში სმა გაისმა: „დახეთ, დახეთ, რა რიგათ ჭყვარებია ლაზარეო“.

ზოგიც ასე ანობდა: „თუ კი მართლა ასე უევარდა, კანა არ შექძლო ვადაერჩინა სიკვდილისაგანო“?

ქრისტემ უბძანა ხალხს, ეჩვენებიათ ის ადგილი, სადაც ლაზარე იყო დაკრძალული. წაუძღვენ მას და ხალხიც თან გაჭყვა.

როცა საფლავთან მივიდენ, ქრისტემ ბძანა, მოეშორებიათ ლოდი საფლავისაგან.

მაგრამ მართამ მოახსენა: „უფალო! ოთხი დღეა რაც დავასაფლავეთ, სუნი ედინებაო“.

ქრისტემ უნასუხა მართას: „ხომ გითხარი, თუ გრწამს, იხილავ დიდებსა უფლისასა“.



— მოაშორეს ლოდი საფლავს. ხალხი სულ ერთიანათ ცქერათ გადაიქცა.

ქრისტემ ჯერ მიანჯირო თვალები შეცნას და მადლობა შესწირა ზეციერ მამას. მერმეთ მალალ ხმით წარმოთქვა:

— „ლასარე, გიბძანებ გამო საფლავიდან“!



ლასარე იმ წამსვე გაცოცხლდა და გამოვიდა გამოქვაბულიდან, სადაც ის დაკრძალული იყო. მაგრამ ხელფეხი შესუდრული ჰქონდა. ქრისტემ ბრძანა, გაეთავისუფლებიათ სუდარისაგან.

გასარებულნი მართა და მარიაში დაეცენ მუსლებზე და თაუვანი სცეს ქრისტეს.

ხალხი ისე გააკვირვა ამ ამბავმა, რომ მრავალი ერწმუნენ ქრისტეს და თაუვანი სცეს მას.

გ. წყალტუბელი.


მ ა მ ა ლ ი.

(აღ. ნათამის ხელ-ნაწერიდან „მოკეთე ბაშკებისა“).



ამალო, ფერად ფრთიანო  
აბრეშუმს კიბავს წვერია;  
თავსე გადგია გვირგვინი  
კონტა და ოქროს ფერია.

ფეხებზე დეხები გაკრავს,  
ნეტავ სად მიეშურები?



საომრათ ჯარში მიდისარ,  
თუ სამკალი გაქვს ჰურები?

ადგები სისხამ დილითა  
მოჭეუები უივილ-მღერასა  
და არ ასვენებ, ძილს უფრთხობ  
დიდს და ჰატარას ეველასა.

ს. ინასარიძე.



## პატარა ლორდის თავ-გადასავალი.

### IV.

ი ნ გ ლ ი ს შ ი .



გზაგრობის დროს დედამ გაუშვილა ცველი, შენ-  
თან ერთ სახლში არ ეცხოვრებო; ბავში საშინ-  
ლათ შეწუხდა; მარტო ახლა დარწმუნდა ხევიშამი,  
რა კარგი ქნა მოხუცმა გრაფმა, რომ ქალბატო-  
ნი ეროლისა შეილთან ახლო დასახლება გადაწყვიტა, აშკარა იყო,  
დედის დაშორებას ბავში ვერ აიტანდა. ახლგაზდა ქალი ისე-  
თი ნაზათ და სიყვარულით ამშვიდებდა შეილს, რომ ბავში ბოლოა,  
როგორც იქნა, ისეე გამოცოცხლდა.

— ჩემი სახლი დორინკორტთან ახლო იქნება! — ეტყოდა ხოლ-  
მე დედა, როგორც კი ბავში მოიწყენდა, — ისე ახლოს ვიქნები შენ-  
თან, რომ ყოველ დღე შეგეძლება ჩემი ნახვა. წარმოიდგინე ახლა,  
რამდენ რამეს მომიყვება ხოლმე! აი, ნახე, რა ბედნიერები ვიქნე-  
ბით! მამა შენი ხშირათ მელაპარაკებოდა დორინკორტის მფლო-  
ბელობაზე; შეენიერი სასახლეა, შეენიერი მამულიც... იმას ძა-  
ლიან უყვარდა, შენც შეგიყვარდება!..

— კიდევ უფრო შემიყვარებოდა, შენც რომ ჩემთან ყო-  
ფილიყავი! — უპასუხებდა ხოლმე პატარა ლორდი და მწუხარეთ ამო-  
ხენეშებდა. მას ვერ გაეგო, რატომ არ შეიძლებოდა „ძვირფასსა“  
მასთან ეცხოვრა, დედას კი არ უნდოდა გაემხალა მისთვის ნამდვილი  
ძიზეზი.

— ნურც ეტყვიტ ნურაფერს! — უთხრა ახლგაზდა ქალმა მოუ-

რავს,—ძალიან ეწყინება და შეურაცხყოფილათაც ჩათვლის თავს, როცა გაიგებს, რომ ბაბუა მაგისას ეძულვარ; ბაბუაც აღარ შეუყვარდება. როცა გაიზრდება, მაშინ გაიგოს ნამდვილი მართალი. ახლა კი—თუ ვუთხარიოთ რაიმე—სულ დავაშორებოთ ბაბუას, თუმცა ჯერ სულ ბავშია!

ამნაირათ ცედრიკმა მარტო ის გაიგო, რომ რალაც საიდუმლო მიზეზის გამო მის დედას ბაბუასთან ცხოვრება არ შეუძლია; ბავში დაუმორჩილდა ბედს, მით უფრო, რომ დედა მომავალ ცხოვრებას ძალიან მიმზიდველ და მხიარულათ უხატავდა. მაგრამ მაინც ხშირათ იჯდა ხოლმე პატარა ვაჟი ხომალდის ბანზე, მისჩერებოდა ზღვას და ღრმათ ოხრავდა.

— არ მომწონს ეს განკარგულება! — ეუბნებოდა პატარა ლორდი მოურავს, — წარმოდგენაც არ შეგიძლიათ, რამდენათ არ მომწონს, მაგრამ რა გავწყობა! ცხოვრებაში ადამიანს ბევრი უბედურება ატყდება თავზე, მერი და მისტერ გობსიც ასე ამბობენ! „ძვირფასი“ ამბობს, რომ უსათუოთ ბაბუასთან უნდა ეიცხოვრო. მართალია, ბაბუაც უბედურია! ძალიან მეცოდება, ყველა შვილები რომ მოუკვდა, ახლა ჩემს მეტი აღარავინ ჰყავს!

ცედრიკი ისეთი ლამაზი, თმა ხუჭუჭა და ჯან-მრთელი ბავში იყო, რომ როდესაც დაჯდებოდა, ხელებს ჯიბეში ჩაიწყობდა და ასე დინჯათ ლაპარაკს დაიწყებდა, თანაც ბავშურ შენიშვნებში ღიღებისაგან გაგონილ სიტყვებს ჩაურევდა — ყველა აღტაცებაში მოდიოდა. მისტერ ჰევიშამს ცოტ-ცოტათი ძალიან შეუყვარდა ბავში და სიამოვნებით ესაუბრებოდა ხოლმე მას.

— ეცდებით შეიყვაროთ გრაფი, არა? — ჰკითხა მან ერთხელ ცედრიკს.

— კი! — უპასუხა თმა-ხუჭუჭა ვაჟმა. — ის ჩემი ნათესავია, ნათესავი კი ყველას უნდა უყვარდეს. ნათესავი რომ არ ყოფილიყო, მაინც შემეყვარებოდა ის კაცი, რომელმაც ამდენი სიამოვნება მაჩვენა.

— როგორ გგონიათ, ბაბუსაც შეუყვარდებით?

— მე მგონია, რომ კი. მეც ხომ ნათესაეი ვარ მისი, მისი შეი-  
ლისშვილი ვარ. რომ არ ეყვარებოდი, ხომ თქვენც არ გამოგმკზაე-  
ნილათ ჩემ წასაყვანათ.

— მართლა? იქვით ჰკითხა მოურავმა.

— დიახაც. თქვენც ასე არ გგონიათ? შეილი-შვილი ვის არ  
უყვარს?

ხომალდზე ყველამ იცოდა პატარა ლორდის თავ-გადასავალი  
და ყველა თანაგრძნობით უყურებდა მოხდენილ ბავშს, რომელიც

ხან ბანზე დარბოდა, ხან მე-  
ზღვევებს ელაპარაკებოდა და  
ხან დინჯათ დასეირნობდა დე-  
დასთან ზე მოურავთან ერთათ.  
ცოტა ხანში ის ყველას დაუ-  
მეგობრდა, ყველას გული  
მოიგო. როცა ახალგაზდა კა-  
ცები ხუმრობას დაუწყებდენ,  
ისიც მოსწრებულათ უპასუ-  
ხებდა, როცა ქალებს ელაპა-  
რაკებოდა—ყველას აცინებდა  
თავისი ბავშური სიტყვა-პასუ-  
ხით, როცა ბავშვებში თამა-  
შობდა—ყველას მოთავეთ ის  
ხდებოდა. მაგრამ მისი საუკე-  
თესო მეგობრები—მეზღვეე-  
ვი იყვენ. ისინი უამბობდენ  
ბავშს ბევრ სხვა-და-სხვა შე-  
მთხვევებს და ასწავლიდენ პა-  
ტარა ხომალდების კეთებას.

მეთერთმეტე დღეს ცედ-

რიკი ინგლისში მივიდა, ქალაქ ლივერპულში. იქ ის დედით და  
მოურავით ჩაჯდა ეტლში, რომელმაც პირ-და-პირ კოტ-ლოჯში,



ქალბატონ ეროლას საცხოვრებელში, მიიყვანა. კიდევაც ბნელოდა. ეტლი განათებულ შესავალ კარებთან გაჩერდა. მერი, რომელიც ხომალდზე მათთან ერთად მოდიოდა, კიდევ მისულიყო და კარებთან იცდიდა. ცედრიკი სწრაფად გადმოხტა ეტლიდან და დაინახა, რომ მერის გარდა იქ ორი მოსამსახურეც იდგა. პატარა ლორდი მხიარულად მივარდა თავის გამდელს.

— როგორ გაჩნდი აქ ჩვენზე ადრე, მერი? — და ბავშმა მაგრათ აკოცა მას წითელ ლოყებზე. — „ძვირფასო“, მერის ჩვენთვის მოუსწრია!

— რა მიხარია, მერი, აქ რომ ხართ! — ჩუმად უთხრა მოსამსახურეს ქალბატონმა ეროლმა. — ცოტათი მაინც მანუკეშებთ, უთქვენოთ არ ვიცი, რას ვიზამდი!

ინგლისელი მოსამსახურეები ცნობის-მოყვარებით უყურებდნენ ქალბატონ ეროლს და მის ვაჟს. მათ ბევრი რამ გაეგონათ დედა-შვილზე, იცოდნენ, რა გაჯავრდა მოხუცი გრაფი, როცა ეროლის ცოლის შერთვა გაიგო, იცოდნენ, რატომ უნდა ეცხოვრა ცალკე გრაფის რძალს; ისიც იცოდნენ, რა მდიდარ მემკვიდრეთ ხდება ეს პატარა ვაჟი და ისიც, რა უგულო და ავია გრაფ-დოროინკორტი.

— საწყალი ბავში! — ჩუმად ეუბნებოდნენ ერთმანეთს ისინი. — რა უბედურათ იგრძნობს თავს ბაბუასთან!

პატარა ლორდმა ადვილათ გაიხადა პალტო; ეტყობოდა, რომ სხვის დანმარებას მიჩვეული არ იყო; მერე ცნობის-მოყვარეობი დაათვალიერა მოზდილი შესავალი ოთახი, რომელიც სურათებისა და ირმის რქებით იყო მორთული.

— „ძვირფასო!“ — მიუბრუნდა ის დედას. — რა ღიღი და რა ლამაზი სახლია! რა მიხარია, ასე კარგათ რომ იცხოვრებ!

რასაკვირველია, მათ პატარა სახლთან შედარებით კორტ-ლოჯი ღიღიც იყო და ძალიან ლამაზიც.

მერიმ ორივე დედა-შვილი ზევით სართულში წაიყვანა, შეენიერა საწოლ ოთახში, სადაც ძვირფასი ავეჯი და ფანჯრებზე ძვირ-

ფასი ფარდები იყო, ბუხარში ცეცხლი გიზგიზობდა და დიდი თეთრი კატა ლამაზათ მოკუნტულიყო მის წინ თეთრ ბეწვის ხალიჩაზე.

— ეს კატა გამდელმა გამოგზავნა დორინკორტიდან. ძალიან კეთილი ქალია და ყველაფერი მოამზადა თქვენთვის, თურმე საშინლათ უყვარდა კაპიტან ეროლი და აქამდისაც ვერ დაუვიწყნია, სულ ტირის, როგორც კი გაახსენდება. სულ პატარა უნახავს, ამბობს, ანგელოზივით შევნიერი და კეთილი იყო. მე ვუთხარი, მის მაგივრათ ახლა მისი ვაჟია, ისეთივე ლამაზი და კეთილი-ტკო.

როცა ტანისამოსი გამოიცვალეს, ქალბატონი ეროლი და მისი ვაჟი ისევ ძირს ჩამოვიდნენ, დიდ ზნათელ ოთახში, რომელშიდაც შევნიერი, მოხარატებული ავეჯი იდგა; მაღალი მოხარატებული სკამები კედლებთან ჩამწკრივებულნი იყვნენ, იქა-აქ შევნიერი პატარა საგნებით მორთული ეტაჟერკები იყვნენ. ბუხრის წინ ვეფხვის ტყავი ეფინა, იქით-აქით სავარძლები იდგა. თეთრი კატაც ჩამოჰყვათ და როცა ცეცხლი ვეფხის ტყავზე გაიშლართა, კატაც გვერდში მოუწევა. მოურავი და ქალბატონი ეროლი ჩუმად ლაპარაკობდნენ; ახალგაზდა დედა გაფითრებული და აღელვებული იყო.

— ახლავე ხომ არ წავა ცედი? — ჰკითხა მან ხევიშამს. — ამ ღამეს ხომ ჩემთან გაატარებს?

— დიანაც! — უპასუხა ხევიშამმა. — ახლავე, როგორც სადილს გავათავებ, დორინკორტში წავალ და შეეატყობინებ გრაფს თქვენ მოსვლას.

ქალბატონმა ეროლმა ცეცხლი შეხედა. ბავში უზრუნველათ გაწოლილიყო ვეფხის ტყავზე, ცეცხლი მხიარულათ ანათებდა მის აწითლებულ სახეს და ოქროს-ფერ გაწეწილ თმას; ის ნაზათ უსვამდა ხელს კატას, რომელიც სიამოვნებით ხრუტუნობდა და იზმობდა.

— გრაფმა არ იცის, — წყენით თქვა მან, — რას მართმევს! უთხარით, — რომ ფულს არ გამოვართმევ.



— არ გამოართმევთ? — გაკვირვებით წამოიძახა ხევიშამმა.

— არა! აქ ცხოვრებაზე უნდა დაეთანხმდე, რადგანაც შეიღწევი ვერ დაეშორებები, ფული კი — არ მინდა. მე მაქვს ცოტადენი მოგროვილი და ის მეყოფა. გრატს კი ეძულვარ; ფული რომ გამოვართვა, ისე მომეჩვენება, თითქო შეიღწევი გავყიდე. მე კი — მხოლოდ მიტომ ვაძლევ შეიღწევი, რომ ამას მისთვის სასარგებლოდ ვთელი და, ამას გარდა, ვიცი, რომ ჩემი ქმარიც ამას მოინდობდა.

— გრატს გული მოუწვა, ის ვერ გაიგებს... შეაწყვეტინა ხევიშამმა.

— გაიგებს, თუ დაფიქრდება. ნუ თუ, თქვენი აზრით, მე უნდა მივიღო ფული იმ კაცისაგან, რომელსაც ეძულვარ და რომელიც შეიღწევი მართმევს?

— გადაეცემ გრატს თქვენ სიტყვებს! — დაფიქრებით უპასუხა ხევიშამმა.

ამ დროს სადილი მოართმევს და სამივე სტოლს მიუჯდნენ. თეთრი კატა ცედრიკს მიუსკუპდა.

ძალიან გვიან იყო, როდესაც ხევიშამი დოზინკორტის სასახლეში მივიდა. ის მაშინვე გრატთან წაიყვანეს. გრატი დიდ სავარძელში იჯდა ცეცხლის წინ; ქარებიანი ფეხა სკამზე მოესვენებინა მან სასტიკათ შეჭნედა მოუტრავს; ეტყობოდა, რომ, თუმცა ცდილობდა დამშვიდებულად ყოფილიყო, თავს აღელვებულად გრძნობდა.

— მოვიდნენ? სხვა, რას იტყვიან ხევიშამ?

— ლორდ ფაუნტელროი და დედა მისი კორტ-ლოჯში არიან. შეიღწევი ჩამოვიდნენ და კარგათაც არიან.

— კარგი და შეენიერი! — ცივად თქვა გრატმა. — დაბრძანდით ღვინო მიირთვით. სხვას კიდევ რას იტყვიან?

— ლორდი დედასთან არის. ხვალ აქ მოვიყვან.

გრატმა ხელები თვალებზე მიიფარა.

— სხვა? წერილის მოწერა აღგიკრძალეთ, ისე რომ არაფერი

## ზატარა ლორდი

არ ვიცი. როგორია ბავში? დედა სულ ერთია, როგორიც უნდა იყოს, მაგრამ ბავში?

მისტერ ხევიშამმა ლენო დალია.

— შეიდი წლის ბავშვის ხასიათზე რა უნდა ითქვას?—თქვა მან.

გრაფმა სწრაფათ შეხედა მოურავს. ისე დარწმუნებული იყო შეილი-შეილის სიგლაზეში, რომ მოურავის სიტყვებში ამ დარწმუნების გამართლება დაინახა.

— სულელია? თუ ხეპრე, მოუხერხებელი, ამერიკელი სისხლის გამო?

— არა, სერ, (ბატონო) ამერიკელ სისხლს, რამდენათაც მე შეენიშნე, მისთვის არ უწყენია. — ცივად უპასუხა მოურავმა. — ჩემი აზრით, კარგი ბავშია.

ხევიშამი ყოველთვის დაწყნარებით ლაპარაკობდა, ახლა კი განგებ იკავებდა თავს; ეშინოდა, ნამეტანი რომ ვაქო ბავში, შეიძლება, მერე ბაბუას აღარ მოეწონოსო.

— ჯან-მრთელია? მალალი?

— მგონია, ჯან-მრთელია. თავის ხნისათვის კარგი ტანის არის.

— როგორი მოყვანილია? სახით როგორია?

ხევიშამმა გაიღიმა. იმას გაახსენდა ვეფხის ტყაეზე გაწოლილი შეენიერი ვაჟი.

— მგონია, ლამაზია, — უპასუხა მან. — მე ბავშვებში ბევრი არა გამეგება-რა. ინგლისელ ბავშვებსა და მის შორის დიდი განსხვავებაა.

— დარწმუნებული ვარ! — წაიბუტბუტა გრაფმა, როგელსაც ფეხში ისევ დაუარა ქარებმა. — ამერიკელი ბავშვები ყველა უსირცხვილო მათხოარები არიან! ვიცი!

— მე მაჯზე არ ვლაპარაკობ. — მიუგო ხევიშამმა. — ლორდი სულ დადებში ტრიალობდა, ისე რომ მასში ბავშური უზრუნველობა და დიდის დინჯობა — ორივე ერთათ თავსდება. აი, ამ განსხვავებაზე ვამბობდი.

— ამერიკელი უსირცხვილობა! — ისევ გაიმეორა გრაფმა. — დედები არ უფარგათ არც ერთს!..

მისტერ ხევიშამმა არა უპასუხა-რა. როცა გრაფს ქარები აწუხებდა, მასთან დავა შეუქმლებელი იყო. ცოტა ხანს იქით მან ისევ დაიწყო:

— ქალბატონმა ეროლმა მამანდო გადმოგცეთ...

— არათრის გაგონება არ მინდა. რაც ნაკლებს ილაპარაკებთ მაზე, მით უკეთესი...

— მას არ სურს, თქვენგან ფული მიიღოს.

გრაფი აინთო.

— ეს რას ნიშნავს? — წყრომით წამოიძახა მან.

მისტერ ხევიშამმა გაიმეორა თავის სიტყვები:

— მას არ სურს თქვენგან ფული მიიღოს, რადგანაც თქვენ შორის მეგობრული განწყობილება არ არის.

— მეგობრული განწყობილება! — გაბრაზებით აიმაღლა ხმა გრაფმა. — მეგობრული განწყობილება! მე მძულს ის, მეგობრობა კი არა! მე ის თვალით დასანახავათაც მეზარება! ფიქრიც არ მინდა მაზე, იმ ხეპრე, თავის გამყიდავ ამერიკელ ქალზე!

— სერ, იმაზე ეგ არ ითქმის! — შეაწყვეტინა ხევიშამმა. — მას თქვეთვის არაფერი უთხოვნია, ის კი არა, რასაც აძლევთ, მაზედაც უარს ამბობს!

— განგებ შევბა, განგებ ყველა მაგას! — ჰყვიროდა გრაფი. — უნდა, რომ შევეხვეწო! ასე ჰგონია, ძალიან მამაწონებს თავს! მაგრამ ტყუილი! ის ჩემი შვილი-შვილის დედაა და უნდა თუ არა, ფული უნდა მიიღოს, როგორც შეეფერება — ისე უნდა იცხოვროს!

— ძალათ თუ მისცემთ ფულს, არ დახარჯავს!

— ჩემთვის სულ ერთია! მაინც ვუგზავნი, ნება არ მაცემ, ილაპარაკოს, რომ არაფერს ვაძლევ! უნდა, რომ შეაძულოს ბავშვს ჩემი თავი! წარმოდგენილი მაქვს, რამდენი რამე სიგლახე უამბო ჩემზე!

— არა! მან კიდევ ერთა რამ მამანდო თქვენთვის გადმოსაცხვით.

### პატარა ლორდი

— არ მინდა, არა, რომ გავიგონო!— გულ-მოსულობისაგან სულს ძლივს ითქვამდა გრაფი.

მისტერ ხევიშამმა დამშვიდებით განაგრძო;

— ის გთხოვთ, არ უთხრათ ლორდ ფაუნტელროსს, რომ დედა მისი გძულსთ. ბავშს ძალიან უყვარს დედა და ეს ამბავი მას ჩამოგაშორებთ, თქვენ თავს შეაძაგებს. ქალბატონ ეროლს სურს, რომ მცირე რამეც არ იდგეს თქვენსა და თქვენ შვილი-შვილის შორის.

მოხუცი გრაფი ღრმად ჩაფთლა სავარძელში. მისი თვალები ბრიალობდნენ სქელ წარბების ქვეშედან.

— რაო?— გაკვირვებით წამოიძახა მან.— თქვენ გინდათ დამარწმუნოთ, რომ იმ ქალმა ბავშს არაფერი არ უთხრა?

— ერთი სიტყვაც არ უთქვამს, სერ!— ცივად უპასუხა მოურავმა.— ბავშს ჰგონია, რომ თქვენში მოყვარულ ბაბუას ჰპოვებს. ყველა თქვენი სურვილი შევასრულე მის დასაჩუქრების შესახებ და ბავში აღტაცებულია თქვენი გულ-კეთილობით და გულ-უხეობით.

— ნუ თუ ეს მართალია?— ჩუმად წაილაპარაკა გრაფმა.

— პატიოსან სიტყვას გაძღვეთ. ახლა თქვენზეა დამოკიდებული, რა შთაბეჭდილებას მოახდენთ პატარა ლორდზე. თუ მე მკითხავთ, გირჩევთ, ერთი სიტყვაც არ უთხრათ დედა მიახე...

— ჰო, ჰო!— ისევე წაილაპარაკა გრაფმა.— ბავში მართო შვილიწლის არის!


— მართალია, მაგრამ შეიძლება წელიწადი განუშორებლათ დედასთან გაატარა, — უპასუხა ხევიშამმა, — და გარწმუნებთ, რომ გაგიყვებით უყვარს ის!

### V.

#### დორინკორტის სასახლეში.

მეორე დღეს შუადღე გადასული იყო, როდესაც მისტერ ხევიშამი და პატარა ლორდი ეტლით დორინკორტისაკენ მიეშურებო-

დენ. მოხუცმა გრაფმა ბრძანა, რომ ბავში სადილათ მიეყვანათ და ისიც, რომ ლორდი მარტო შეეშვათ მის ოთახში. ცედრიკი ცნობის-მოყვარეობით იჭყიტებოდა ეტლის ფანჯრიდან. მას ყველაფერი მოსწონდა; ოთხი შეენიერი ცხენიც, მათი მორთულობაც, კოხტა მე-ეტლეც და მაღალი ტანის მსახურიც.



როდესაც ეტლი წალკოტის კიშკარს მიუახლოვდა, ლორდმა ხიამოენებით გადაავლო თვალი კიშკარზე წამოჭიმულ ორ ქვის

პატარა ლორდი

ლომს. იქვე იყო პატარა, წვანეში მხიარულათ გამოწყურე სახლი; იქიდან ჭიშკრის გასაღებათ შუახნის ქალი გამოვიდა, რომელსაც ორი პატარა ბავშვი გამოჰყვია; ბავშვები ლორდს მიაჩერდნენ, ლორდი—მათ. ქალმა თავი დაუკრა, ბავშვებმაც მას მიჰბაძეს.

— საიდან მიცნობს? — იკითხა პატარა ლორდმა და თავის ხავერდის ქუდი მოიხადა. — გამარჯობა! როგორ ბრძანდებით?

ქალმა მხიარულათ გაიღიმა.

— ღმერთმა დაგლოცოსთ, ლორდ, — თქვა მან, — გისურვებთ ყოველ ბედნიერებას!

პატარა ლორდმა მხიარულათ დაუქნია მას თავის ქუდი და ეტლმა ჩაიარა.

— ეს ქალი მომწონს. — მიუბრუნდა ცედრიკი მოურავს. — ეტყობა, ძალიან უყვარს თავის შვილები. მე მოვალ ხოლმე აქ მათთან სათამაშოთ. შეუძლია ხომ სტუმრების მიღება?

მაგრამ მისტერ ხევიშამმა კარგათ იცოდა რომ ლორდს მეჭიშკრის შვილებთან თამაშის ნებას არავინ მისცემდა.

ეტლი ორ რიგ მაღალ ხეებს შორის მაღიოდა. ეს ხეები ზევით ერთდებოდნენ და შვენიერ ჭერს არღვენდნენ. ცედრიკი აღტაცებაში იყო; მას მოსწონდა ეს ხეებიც, იქა-აქ გაფანტული ლამაზი მინდვრებიც, რომელთაც გარშემო უფრო პატარა ხეები ერთყაათ, მოსწონდა სხვადასხვა უცხო მცენარეები, მოსწონდა ლამაზი, ათასფეროვანი ყვავილები. როცა ხეზე ციყვი დაინახა, სიხარულით ისიც მასავით შეხტა; ერთ ჩირგვს უკნიდან კაკაბები აფთქრიალდნენ, აღტაცებულმა ცედრიკმა ტაში დაუკრა.

— რა შვენიერებაა! — უთხრა მან ხევიშამს. ამერიკაში არ არის ამისთანა ბაღები. ცედრიკს უკვირდა, რომ ჯერ სასახლე არსად ჩნდა.

— ჭიშკრიდან სასახლე შორს არის? — იკითხა მან.

— ოცი ვერსტი იქნება.

— არაოდეს არ მინახავს, რომ კაცი თავის ჭიშკრისაგან ამ სიშორეს ცხოვრებდეს! — შენიშნა პატარა ლორდმა.

ყოველ წამს მას ახალი რამ აკვირებდა. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მაღალ ბალახში მან კოხტა, მოხდენილი შეეღებო დაინახა. შეეღებო წამოხტენ ეტლის მოახლოებისათვის და მათკენ მოაბრუნეს თავის ლამაზი, პატარა რქებით დაშვენილებული, თავები.

— აქ ცირკი იყო, თუ?—წამოიძახა ლორდმა.—ვისი არიან, ვისი ეს შეეღებო?

— თქვენი ბაბუასი და აქ ცხოვრობენ!.. უპასუხა მოურავმა.

მაღე სასახლეც გამოჩნდა. წალკოტის ბოლოში ის ამაყათ ამართულიყო და მზის სხივები ლამაზათ აბრჭყვიანებდნენ მის ურიცხვ ფანჯრებს. პატარა ციხეები, კედლები, ყველაფერი წვანე ფოთლებით იყო შემოსილი. წინ აივნები და პატარა ქვის მოედნები ჩანდნენ. სახლის წინ პატარა ბაღში ათასნაირი, შეენიერი და სუნნელოვანი ყვავილები ჰხიბლავენ ადამიანის თვალს.

— არაოდნეს არ მინახავს ამისთანა კარგი სახლი!—წამოიძახა ცედრიკმა.—ეს ხელმწიფის სასახლეს ჰგავს, ან და იმ სასახლეებს, ზღაპრებში რომ არიან ხოლმე!

უშვედლებელი შესავალი კარი გაიღო; მრავალი მოსამსახურეები ორ რიგათ იდგნენ და ყველა ცედრიკს მისჩერებოდა. ბავში გააკვირვა მათმა მორთულობამ და მათმა ფეხზე დგომამ. იმას არც კი უფიქრია, რომ ყველა ესენი მოგროვილიყვენ პატარა ბავშვის შესახვედრათ, იმ პატარა ბავშვის, რომელსაც ერთ დროს მთელი ეს სიმდიდრე, ეს ამაყათ ამართული სასახლე, ციხეები, კოშკები და ბაღები, ერგებოდა. ორი კვირის წინ ეს ბავში მისტერ გობსის დუქანში იჯდა და იქ დაწყობილ ხილს და მწვანეულობას შესჩერებოდა; როგორ შეეძლო წარმოედგინა, რომ ოდესმე ყველა ამის პატრონი გახდებოდა!

ყველაზე წინ შავი აბრეშუმის კაბით მორთული წარმოსადგენ ხანში შესული ქალი იდგა; როცა ბავში შევიდა, ის კიდევ უფრო წინ წამოიწია. მისტერ ხევიშამი გაჩერდა.

— აი, ეს არის ლორდ ფაუნტელროი. — უთხრა მან შვეკაბიან ქალს. — ლორდ ფაუნტელროი, — მიუბრუნდა ის ბავშს, — ეს არის გამდელი მელონი, რომელსაც მთელი სახლი აბარია.

ცედრიკმა მელონს ხელი გაუშვირა. მისი თვალები სიამოვნებით მიეპყრო გამდელის კეთილ სახეს.

— თქვენ გამომიგზავნეთ თეთრი კატა? — ჰკითხა მან. — ძალიან მაღლობელი ვარ.

მელონს სახე მთლათ გაუბრწყინდა.

— მაშინვე ვიცანი ლორდი! — უთხრა მან ხევიშამს. — საშინლათ ჰკავს კაპიტან ეროლს. ბედნიერი დღეა დღეს ჩვენთვის!

— რატომ არის ნეტაეი დღეს ბედნიერი დღე? — იფიქრა ცედრიკმა. მან შეხედა მელონს; ხანში შესული ქალი იღიმებოდა, თუმცა თვალეში ცრემლები უდგა.

— თეთრ კატას ორი პატარა კნუტი ჰყავს; თუ გნებავთ, მათაც გამოგიგზავნით. — მოფერებით უთხრა მან პატარა ლორდს.

მისტერ ხევიშამმა რაღაც იკითხა ჩუმად.

— წიგნთ-საცავ ოთახშია! — უპასუხა ქალმა. — ბრძანა, ლორდი მარტო შამოუშვიტო.

რამდენსამე წამს შემდეგ მალალმა მსახურმა გააღო წიგნთ-საცავის კარები და ხმა მალლა გამოაცხადა: „ლორდ ფაუნტელროი“. მსახური გრძნობდა, რა დიდ მნიშვნელოვანი იყო ეს წუთი: სასახლეში შამოდრიდა ერთათ ერთი მემკვიდრე, მომავალი გრაფი.

ცედრიკმა გადააბიჯა დიდი, მდიდრულათ მორთული ოთახის კარები. ოთახში ყველაფერი მუქი ფერის იყო, ავეჯიც, ფარდებაც და ხალიჩებიც. მზე გადასული იყო და ოთახში ცოტა ბნელოდა. ჯერ ცედრიკს ეგონა, ოთახში არავინ არისო, მაგრამ მალე შენიშნა, რომ დანთებულ ბუხრის წინ დიდი სავარძელი იდგა, სავარძელში კი ვიღაც იჯდა და მისკენ არ იყურებოდა. მაგიერათ, სხვა ვიღაცამ მიაქცია ყურადღება პატარა ლორდს.


იატაკზე, სავარძლის წინ გაწოლილიყო ვეებერთელა, მოწითა-



ლო ფერის გაბურძენული ძაღლი, რომელიც ადამიანს ლომს მოაგონებდა. ის წამოხტა და წელის ნაბიჯით გასწია ბავშვისაკენ.

— ღუგალ! უკან წამოდი! — დაიძახა ვილამაც სასტიკი ხმით.

მაგრამ პატარა ლორეს არ შეშინებია. მან დააღვა ძაღლს კისერზე ხელი და მასთან ერთად წინ წავიდა.



პ. ი.

ლ.

საფარძელში ჩამჯდარმა გრაფმა თვალები ზევით ასწია. ცედრიკმა დაინახა ამაყი შეხედულობის მოხუცი კაცი, რომელსაც გაჭლრებული თმა და სქელი წარბები ჰქონდა. მისი ცხვირი არწივის ნისკარტს მიემსგავსებოდა, მუქი ფერის ბრწყინვალე თვალებიც არწივს მოაგონებდნენ აღამიანს...

მოხუცმა გრაფმა კი დაინახა თავის წინ შავი ხავერდის ტანი-სამოსში გამოწყობილი პატარა ვაჟი; საყელოზე მოკლებული ფართე თეთრი არშია საოცრათ აშვენებდა მის მიმზიდველ სახეს; ოქროს ფერი თმა ლამაზათ ეხამებოდა ბავშვის შეწიწიერ დიდ თვალებს, რომლებიც მხიარულათ შეაჩერდნენ გრაფს. თუ ღორინკორტის სასახლე ზღაპრულ სასახლეს ჰგავდა, პატარა ლორდი ზღაპრულ ხელმწიფის შვილს კიდევ უფრო ემსგავსებოდა. კმაყოფილება და აღტაცება უცებ აღიძრა მოხუცი გრაფის გულში, როდესაც მან დაინახა მომხიბლავი შვილი-შვილი, რომელიც ამაყათ იდგა მის წინ და ხელი ვეებერთელა ძაღლის კისერზე ედგა. მას საშინლათ მოეწონა, რომ ბავშს არც მისი და არც ძაღლის არ ეშინოდა.

კ-გლ.

(შემდეგი იქნება)



## საპვირველებანი გუნებისა.



4.


წყლის ზამბახი (Le Nenuphar).

ველასა ჭუავს თავისი მეგობარი მცენარეთა შორის და, რასაკვირველია, არც წუგლია ამ ბუნებრივებს მოკლებული, იმასაცა ჭუავს ნამდვილი სულით და გულით მეგობარი უვაგილები, მაგრამ იმათში უველასე წარჩინებულია წყლის ზამბახი.

ეს მართლაც და, სწორეთ რომ შეენებაა მდინარეებისა და გუბეებისა, როდესაც აღმოაჩენს ხოლმე წულიდან თავის უშუალებელ უვაგილს, ოდნავ დანდობილს განიერ ფოთლებზე.

კალათა უვაგილებისა, აღსავსე სუნელებითა, საუცხოვო და მედიდური მცენარე თითქოს განსაბანებლათ მოსულა ლელებსა და ლერწმებთანაო.

წყლის ზამბახი ორ გვარია: თეთრი და ყვითელი, პირველი ზედ წუგლზეა თეთრათ-თოვლივით გადბენტილი, ხოლო მეორე ჭუენს წუგლზე ჯერ მწვანე ფოთლებს და მათ შემოდან ჭბლის მოღაპლანზე თქროს თაიგულს.



წელის ზამბახი ძლიერ მკრძნობიარე და საზმუხიანი მცენარეა, თანაც მეტის მეტი კოპწიაა და მედიდური ქაღალტონი; ღრუბელი ასევედიანებს, წვიმის წვეთი აშფოთებს, ელვისაგან კანკალი მოსდის და ქუსილის გაგონებაზე შიშით წებაში იმალება.

როგორც კი მოჭყენს მზე ქვეყნათ თავის ცხოველსნივს, ამოჭყოფს თავს წელის ზამბახიც, გაიშლება-გაიფურჩნება; არსევს ნელათ სიოს მობერვით თეთრ ვერცხლის გვირგვინს, თრთის და სტკებება სიამოვნებით, ვიდრე მზის სხივი არ მოუშლის მეკობრულ ალერსს. ზედ დაჭბზუვიან ამ ბედნიერ ევავილს ფუტკრები, თავს ევლევიან ჭრელი ზეპელები და თვალ-მარგალიტივით ელავენ მის სავერდით ნაკერ ფურცლებზე მჯდომი მწერები.

მაგრამ გადისრის მზე, დადგება საღამო და ჩვენი მცენარეც იბურება ღამის სამოსლით, ჰკეცავს და აფარებს ერთს მეორეზე თავის მოქანცულ ფურცლებს და ჩაეშება წებაში განსასვენებლათ.

ჯერ ისევ დღისითაც, თუ ავით შეიცვალა დარი ან ამოვარდა ქარი, წელის ზამბახი წამზე მოშლის თავის მორთულობას და ჩაეშება წელის სიღრმეში, საიდანაც ჩქარა ამოჭყოფს კვალად თავს, თუ შეაკუთა მზის სხივი

ლალო აღნიაშვილი.

## მარგალიტი.

### I.



თუოთ გინასავთ მარგალიტის თეთრი მძივი, ქალების ძვირფასი სამკაული, მარგალიტით ნაკერი თავსაკრავი, სარტყელ-გულის-პირი, ქათიბი და აგრეთვე მარგალიტის ასსმული ძეწკვი, რომელიც უწინ საქართველოში დიდ სმარებაში იყო და ახლაც არის.

დიაღ, საამო სანასავია მარგალიტის ბრჭყვიალა სამკაული და ჰშენის კიდევ ჩვენ კოპწია ქალებს, მაგრამ ვეელამ ხომ არ იცის მარგალიტი ხეს ასსია თუ დათესილი მოდის.

აი ერთი ძველი ამბავი:


ინდოეთის ქვეყანაში, ცეილონის კუნძულზე მეტათ მდიდარი ბუნებაა, ზამთარ-ზაფხულ განსოცარ მცენარეულობით ისეა ფერად-ფერადათ აუვავებული, რომ კაცს თვალი ზედ დარჩება; ვისაც კი ცეილონის შვენირება უნახავს, ვეელა იმ აზრისაა, რომ ედემი უეჭველათ აქ ყოფილათ და პირველ ადამიანებს, ადამს და ევას, აქ უცხოვრიათო.

ამ სამოთხე — კუნძულის ნაპირზე სამი ათასი წლის წინეთ ცხოვრებდა ერთი საწუალი მეთევზე თავის ცოლით

და წვრილი შვილებით. მთელი სახლობის ხელობა მხოლოდ  
ის იყო, რომ ზღვაში თევზს იჭერდნ და გამორიყულ  
ლოკოკინებს აგროვებდნ, ნაშოვარ ნანადირევს ბასარში  
ჭეიდდნ და მითი ჭამდნ ლუკმა ჰურს.

ამათი ბედნიერი, სასინარულო დღე მეტადრე მაშინ  
იყო, როცა ზღვა აღელდებოდა და მისი ზვირთები ნა-  
ზირსე გამორიყავდნ ათასნაირ ლოკოკინებს. მეთევზეს  
ტიტლიკანა ცქრიალა გოგო-ბიჭები წამსვე დახვეოდნ  
ხოლმე ფერად-ფერად ლოკოკინებს, აგროვებდნ, მამას  
აძლევედნ და უფრო კი ცელქობდნ — ძლიერ უეპარდათ  
დვინჭილა ლოკოკინებით კენჭობა, თამაშობა.

ერთხელ საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, ზღვა — ოკეა-  
ნში ისეთი დელვა-ფრთონა ატედა, რომ ამისთანას მე-  
თევზეს ოჯახი თავის დღეში არ შესწრებოდა. ზღვა-ზღვას  
ეცა, მთის ოდენა ზვირთები გორავდნ, გააფთრებული  
ღრიალებდნ. გემებს ნაფოტივით ათამაშებდნ. საწვალ



აღელვებული ზღვა გემებს ნაფოტივით ათამაშებდა.

მეთევზის ფარდულა — ქონი განრისხებულმა ზვირთებმა შთანთქეს, ზღვის უფსკრულში ჩაიტანეს. მეთევზემ სასლობა გააცალა, ცოცხალი თავი ძლივს გადაარჩინა.

ბოლოს ცა და ქვეყანა რომ დამძვიდდა, ზღვაც თანდა-თან დაწენარდა, ძლივ-ძლივობით დონესე დადგა და თავის კალაპოტში ჩავარდა. ამ დროს მთლათ რიუე აუვა-ვებულ ბაღს წარმოადგენდა. თითქმის ერთ კვირას ზიდავდა განხარებული მეთევზეს სასლობა ფერად-ფერად ლოკოკინებს, ჭრელ ღვინჭილებს და თავიანთ ახლათ წამოსკუპებულ ფარდულთან აგროვებდენ. ერთხელ სადილათ რომ დასხდენ, ეველამ ჩამოირიგეს ადვილათ საპობი ლოკოკინები და მათ ლორწოიან ჩვილ სორცს თოხლო კვერცხივით სრუტავდენ, ელანავდენ. სადილს უკან მეთევზის უფროსი შვილი ერთ რაღაცნაირ ნაოჭიან ლოკოკინას ნიქარას ჩააცივდა, ცდილობდა უეჭველათ გაეპო, გაეტეხა. მამა გაუჯავრდა: „კახა და გადაბგდენე რას ეწვალეები, წამო, სანადიროთ წავიდეთო“ მერე კი მეთევზეს გულმა რაღაცა უგრძნო, თითონ გამოართვა და წაღუნათი ვეება ლოკოკინა, საპობი ატამივით, შუახე განლინა. მეთევზემ ლორწოიან სორცში იპოვა ორი მრგვალი მარცვალი მტრედის კვერცხის სიდიდისა. მთელი სასლობა გაცოცხლებული დარჩა. მაშინვე გააცალეს ლორწო და გარეცხეს თუ არა, მარცვლები მზის სხივებზე ისე საამოთ ბრწინავდენ, რომ გაკვირვებულმა მეთევზემ იფიქრა: „ეს უთუოთ ნატვრის თვალს რო იტვიან, ის იქნებაო. შესწავია ჩვრებში და მეზობლებს ძალუღათ აჩვენა, მაგრამ ეს ამბავი მთელმა კუნძულმა ძალე შეიტყო. მოიბინეს

ვაჭრებმა და მეთევზეს, იმ რაღაც მარცვლებში ათი თუ-  
მანი მისცეს. ვაჭარმა ეს მარცვლები ინდოეთის სელმწი-  
ფეს მიაბრთვა; სელმწიფეს დიდათ მოეწონა ბრჭყვიალბა  
მარცვლები და მაშინვე უბრძანა, ჩემს გვირგვინში ძვირ-  
ფას თვლებში ჩასვითო, ვაჭარსაც ულუფა და კაი საჩუ-  
ქარი მისცა. სელმწიფემ ნაზოვნ მარცვლებს მარგალიტე-  
ბი უწოდა, თან ბრძანება გასცა, ვინც ამისთანა მარგა-  
ლიტს მომიტანს, ბედს შეეერებაო.


ამას შემდეგ ძლიერ დაფაცურდენ, მეთევზეს გამოჰკით-  
ხეს მარგალიტის ამბავი და ეველამ ლოკოკინებს დაუწვეს  
ძებნა, ზღვის ღელვას აღარ უცდიდენ, თითონვე ჩადი-  
დენ ზღვაში და მის ძირიდან იმ გვარივე ლოკოკინები  
ამოჰქონდათ. ცვილონის კუნძულის ხალხი დიდ ხანს ინა-  
ხავდა საიდუმლოთ და არაფის უმსელდენ მარგალიტის  
შოვნის საქმეს, მერე კი ჯერ მათ ახლო იავას და სუმატ-  
რას კუნძულებზე ისწავლეს ამის ხელობა, მერმე მთელმა  
ინდოეთმა და ჩინეთმა შეიტყო. ახლა ხომ მთელი ქვეყნის  
ზღვებში და მდინარეებში იჭერენ და ამოაქვთ მარგალიტის  
ლოკოკინები. მეტადრე განთქმული არიან მარგალიტის  
წარმოებით აზია, აფრიკა, კალიფორნია (ამერიკაში) და  
წინარ ოკეანეს მრავალი კუნძულები.

II.

თუმიცა ბევრნაირ ლოკოკინებში იწოვება მარგალიტი,  
მაგრამ უფრო სძირათ ნამდვილ მარგალიტს ჰოულობენ  
სადაფის ლოკოკინაში (Margaritina) და საკუთრივ მარგა-  
ლიტის ლოკოკინაში (Avicula meleagrina). თითონ მარგა-



ლიტი არის სადაფის ნაჟონი, სადაფის ნივთიერება, რომელიც მარცვლებით მრგვალდება ლოკოკინის კანს და ძვალს შუა. ახლა უკვე იციან რათ ჟონამს სადაფი, საკმაოა თურმე ლოკოკინას შემთხვევით ჩაუვარდეს რამე სადაფსა და ლორწოიან კანს შუა, მაგალითათ კენჭი, კაჭაჭის ან ძვლის ნატესი, ან თავისავე ნიჟარის ნატესი და ის არის და ის, იმ ნახსვლეტის დაშვებულ ადგილას დაიწეებს ჟონას სადაფის ლორწო, კენჭს კარშემო ეფინება, ძვალ მეტევით მაგრდება და მრგვალდება, მაგრამ 5-6 წელიწადი უნდა ვიდრე მარგალიტის მარცვალი სისრულეში მოვიდოდეს. ცხოველის ტანში მარგალიტის მარცვლები ან თავისუფლათ აწევია, ან მიკრობილია სადაფზე. აკერ ნახატს დააკვირდით მარგალიტის მარცვლები ისე აწევია, თითქოს ჩაკვერცხილი დედალიაო.



მარგალიტის მარცვლები ისე აწევია თითქოს ჩაკვერცხილი დედალიაო.

მიკრობილი მარგალიტი იაფათ იუიდება, რადგან მოწვევების დროს მარგალიტის მარცვალს ცალი კვერდი უფუჭდება.

საუკეთესო მარგალიტი უფერულია, შვენირი თეთრია. მაგრამ არის მარგალიტი მოწითალო, მომწვანო, ყვითელი, ვარდის ფერი, ჯიკრის ფერი, ნაცრის ფერი, შავი და სხვ. ევროპაში უფრო თეთრ მარგალიტს აქვს განსაკუთრებული, აღმოსავლეთის ხალხს კი მოყვითალო მოსწონთ, საზოგადოთ თეთრი-სპეტაკი მარგალიტი ძვირათ ფასობს და ფერადი კი იაფია, მარგალიტის მარცვალი რამდენათაც უფრო თანაბარი მრგვალია, იმდენათ მეტათ ღირს და უსწორ-მასწორო კი იაფია. ყიყმატა, წვრილი მარცვლები იაფია და მისხლობით იუიდება, ხოლო სხვილი მარგალიტი თითოობით. ყიყმატი მარგალიტი მისხალი 4—5 მანეთათ იუიდება; ფითრის მარცვლის სიდიდისა 5 ან 20 მანეთი ღირს. საზოგადოთ მისხალზე რაც უფრო ნაკლები მარცვალი მიდის, იმდენათ მარგალიტი უფრო ძვირია. მარგალიტი იშვიათი სიდიდისა და მასთან კაი თვისებისა ძლიერ ძვირათ ფასობს, მაგალითად ერთი დიდი მარგალიტი, სპარსეთის შაჰისა, დაფასებულია ორმოც ათას თუმნათ, ზოგჯერაც მარგალიტის მარცვალი ძლიერ დიდი ხდება. კენსინგტონის მუხეუმში დღესაც ნახავთ უშველებელ მარგალიტს ბატის კვერცხზე უდიდესს, რომელიც გირვანქაზე მეტს იწონს. სინესტე, ოფლი და ძლიერი სიცხე მარგალიტს ახდენს, ბრჭყვიალებას უპარგავს.

## III.

ინდოეთის ზღვებში ახლა ინგლისელები კანაკებენ მარგალიტის ლოკოკინის ძებნის საქმეს. მარტის ნახევრიდან იწეებენ და რთველს ოთხს ანუ ექვს კვირაში ათავებენ. ნავით შეცურდებიან ხოლმე ზღვაში და თითო ნავზე ათ-ათი კაცი მუშაობს. ნადირობა იწეება მზის ამოსვლიდან შუადღემდე, ორ-ორი ამხანაგი ჯერ-ჯერით ჩადიან ზღვაში: ერთი წვერი თოკისა ნავზეა ჭასრაკით მობმული, მეორე წვერზე დიდ ქვას აბამენ, ამ ქვას ჩაჯღუბამს ხოლმე ტიტლიკანა კაცი და გადაეშვება ზღვაში. აქ ზღვის ძირზე რამდენ ლოკოკინებსაც იპოვის, საჩქაროთ გაფაციცებელი აგროებს მხარზე გადაკიდებულ ტომარაში. ამ დროს ამხანაგი ნავში უცდის, თოკის წვერი ხელში უჭირავს და რაწამს ზღვის ძირიდან ამხანაგი ანიშნებს, ამწიე თორემ სული მესუთებაო — იმ წამსვე ამოიყვანს ზღვიდან. — ახლა ზღვიდან ამოსული ნავზე ისვენებს და მისი ამხანაგი ჩადის ზღვაში. მეტათ იშვიათი შემთხვევაა და საეჭვოც არის, რომ ზღვაში ჩაუურუემელავებულმა კაცმა უჭაერთ ორი წამი გაძლოს. დაუხვეველი კაცი 45 წუთს ძლებს წუალში უჭაერთ და მერე კი ეჩვევა, მაგრამ ერთ წამზე მეტს მაინც ვეღარ შეძლებს. ამ გვარი მუშაობა ჯანის სიმრთელეზე ძლიერ მავნებლათ მოქმედებს. უდროთ ესაღმებიან სიცოცხლეს ამ ხელობის მუშები, რადგან წუალში უურუემელობის შემდეგ სისხლი თავში აუვარდებათ ხოლმე და წვეთისგან იღუპებიან.

გარდა ამისა ერთნაირი ღორმუცელა „აკულა“ თევ-

ზია მათი მტერი. ეს „აკულა“ მართლაც რო ღვთის რის-  
ხვას ზღვაში მცხოვრებ ცხოველთათვის; წარმოიდგინეთ  
რომ ადამიანსაც არ ერიდება და სძირათ განდებინან სოღმე  
ამ თევზის ლუკმათ ზღვაში ჩასული მუშები.

ღიან, ჩვენმა ქალებმა რომ იცოდენ, ზღვაში რამდენი  
კაცი იღუპება მარგალიტის შოვნის დროს, თავიანთ სია-  
მოვნებას არ ანაცვალეებდენ იმდენ ხალხს.

მაგრამ თუ ადამიანები გვებრალებიან, ის ცხოველე-  
ბიც უნდა შევიბრალოთ, რომელთაც უოველ წლივ მრ-  
ვალთა უმრავლეს ქლეტენ, რომ მათ ტანში მარგალიტი  
ან იზოვონ ან არა. მაგალითათ ათი ათასზე მეტს ლო-  
კოკინას უნდა მოუსპონ სიცოცხლე, რომ მარგალიტის  
ერთი მარცვალი რომელსამე ლოკოკინაში იზოვონ.

როგორც შევითაც იყო ნათქვამი მ ა რ გ ა ლ ი ტ ი  
ს ა დ ა ფ ი ს ნ ა ქ ო ნ ი ა, ამიტომაც ზღვაში მონადირენი  
მხოლოთ სადაფის ლოკოკინებს ავროვებენ — თუ შივ  
მარგალიტს ვერ ვიზოვით, სადაფი მინც კარგ ფასათ გა-  
იუიდებო. მართლაც და მონადირე მუშათა დღიურ ლუკ-  
მას ს ა დ ა ფ ი შეადგენს.

ვევლასე კარგ სადაფს წითელ ანუ მქწამულ ზღვაში  
იჭერენ, აზიას და აფრიკის შუა. სადაფს უნდა ვველანი  
იცნობდეთ, გენახებათ სადაფით დაშვენებული თარი, დაი-  
რა, ჩხრჩოები და სხვა. უწინ ჩვენში ქალს რო ვაათხო-  
ვებდენ, დედა ლამბაქის ოდენა სადაფს ვაატანდა მხითევ-  
ში — ფერ-უმატილს მოლესავდეთ. ფერად-ფერადათ მო-  
ბრჭყვიალე სადაფის ლოკოკინებს საფერფლეებათაც სმა-  
რობენ.



## ავი შვილები.

ი გ ა ვ ი

**შ**რთ კაცს სუთი შვილი ჭებადა. თუძცა მათი კეთილათ აღზრდისთვის თავის დროსე ბევრი იზრუნა, მაგრამ შრომამ ამათ ჩაუარა: შვილები ერთი მერესე უვარგისი გამოუვიდა; მაგრამ ეს კიდევ არაჟერი, რომ მათ ბოლოს აკვაცობისთვის არ მიეუთ სელი: დაიწვეს ქურდობა, ავაზაკობა, კაცის კვლა.

უმიძსოთაც უმაუოფილო მამა შვილების ასეთმა უმართებულთ და საზიხლარმა ქცევამ დიდ დარდში და მწუსარებაში ჩააგდო. რასაკვირველია, ეოველ შესვედრასე თვითოეულ შვილს მშობლიურ დარიკებას და რჩევას არ აკლებდა და სოკჯერ, მოთმინებიდან გამოსული, მწვავეთაც ჭკიცსავდა და აგინებდა.

შვილებს მამის კიცხვა ძლიერ სწეინდათ და ერთსელ ისეთი ბრახი მოერიათ, რომ გადასწევიტეს: თუ მამა არ მოკვალთ, ჩვენ სიცოცხლეში მოსვენებას არ მოგვცემსო. რადგან ასეთი საშინელი განზრახვის შესრულება კერ-

ძოთ ვერც ერთმა ვერ იკისრა, ამიტომ დაადგინეს: შუა-  
დამისას, როცა მამას უეჭველათ უნდა მინებოდა, ვეელანი  
ერთათ მისულიყვენ და ერთნაირი მონაწილეობა მიეღოთ  
მშობლის მოკვლაში.

ბნელ ღამეში, დანიშნულ ვადაზე მივიდენ ერთათ სუ-  
თივე მხანი მამის სადგურთან. ჰირველათ უფროსმა კაბი-  
ძრო სანჯახლი, მივიდა კარებთან და მიაღო მას უური:  
ვნასო სმინავს თუ ღვიძავსო. მაგრამ გასაოცარი ამბავი  
მოხდა: რა უფროსმა მამა მცირე ხანს უური კარებთან  
გახერა, მაშინვე, თვალებში ცრემლი მოერია, ფიცხლავ  
ჩააგო სანჯახლი ქარქაში და შეწუსებული სახით გამობ-  
რუნდა უკან. ეს რომ დანარჩენ ძმებმა შენიშნეს, დაუყო-  
ნებლივ მივიდენ იმავე კარებთან და თვითოეულმა ცნობის  
მოუვარეობით მიაღო უური იმის შესატეობათ, თუ რამ  
ატირა და გამოაბრუნა უფროსი მამა. ვეელას ერთი და  
იგივე დაემართათ: საშინელი აზრით ატელეგებულნი და  
მამის საწოლთან მისულნი, მშვიდობიანი სახით, ატირე-  
ბულნი დაბრუნდენ უკან.

რა შემოესმათ შვილებს მამის საწოლიდან და რამ  
მოალობო ასე უცბათ მათი დიდი ხნის გაქვავებული გული?  
იმ ჟამს, როცა უკუნური შვილები მამის ეელის გა-  
მოჭრას ლამობდენ, უბედური მშობელი კუთხეში, ხატის  
წინ, დაჩოქილი, სმა მაღლა, ქვითინით, ხელებ აპერობილი  
ვეედრებოდა ღმერთს: „ყოვლად შეძმლებელო ღმერთო,

გაკვედრები გადმოსედე ჩემ გზა-დაბნეულ სუთ შვილს! მოილე მათზე წყალობა, მიატოვებინე საუბედურო სელობას! ჩაუნერგე გულში კეთილი შრომა, ცხოვრება! აპატრივე ემბ-წვილური უკუნურობით ჩადენილი ეოველი ცოდვანი! ამიერიდან ამორე მათ ბოროტი საქმე, მშვიდობიანობის და კაცთ-მოყვარული გრძნობით აღავსე ეოველი მათი მთქმედება! მალალო ღმერთო, იხსენ ჩემი საყვარელი სუთი შვილი ჯოჯოხეთის ცეცხლისაგან და სამაგიეროთ, თუნდა ამ წუთსავე, მიილე და იმსხვერწლე ჩემი მათგან დატანჯული გული!—ო.

ამ სიტყვების გაგონებას მსწრაფლ შეუცვალა ფიქრი შვილებს; მამის ლოცვამ უცბათ გააღვიძა ძმების გულის სიღრმეში ჩამალული მშობლისადმი სიყვარული და ამ უკანასკნელმა მიატოვებინა არამც თუეს ერთი ავი განზრახვა, არამედ თითქმის ეოველი ცუდი საქმე.

აღ. მ—შვილი.

ტ ო რ ო ლ ა.




ა აქვს ტოროლას კარგი, რომ ასე მოგწონსთ?—ეუბნებოდნა მყვალნი მამეს.—გარწმუნებ, რომ ეველ ცდებან. არც ერთი ბუძნული მხიარული ფერისა არა აქვს, სულ ეველან მომავლან, არც სილამაზე და არც სიმღერას მას არ უვარგან.

— არა, რაც შეეხება ბუმბულს, წუნს ვერავინ დასდებს. უნასუსა მამემა, რადგანაც მასაც მომავო ფერის ბუმბული ჰქონდა და მათეალის სიტყვები არ ეპიტნავა:— მისი გალობა კი არაფერი საქები არ არის. მთელი მისი გალობა ჩემ ერთ დასტვენათ არა ღირს.

— შეგობრებო! — ამოსძახა მინდვრიდან ტოროლამ, — მე გეტყვით, რადგანაც არ გცოდნიათ, თუ რისთვის ვუყვარვარ ვეელას. არც ბუმბულის სილამაზით, არც გალობისათვის მე არავინ შემეფარებს; მაგრამ მე თავისუფლებას შევსტრფი და იქ ვმღერე, სადაც თქვენი ხმა არაოდეს არ გაისმის; თქვენ აუცილებლათ უნდა გქონდეთ ჩირგვი, ჭაღა, ტყე, ჩემთვის კი საკმარისია გაშიშვლებული მინდორი და ტიტველი ბორცვი. უოველგან გაისმის ჩემი თავისუფლების მოტრფიალე ხმა და ახარებს მკვავრს იქ, სადაც არც ერთი ფრინველი არ გაიჭაჭანებს.

ლილია.





შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი თ. კანდელაკისაგან).

ერთი სიტყვაა, მაგრამ ხუთიც სხვა  
 გამოირკვევა კიდევ მასშია:  
 ქალს უწოდებენ ქართლ-კახეთს ამით,  
 რაც გამოითქმის სიტყვის თავშია;  
 მოვლენა არის ბუნების, — ჩნდება  
 მუდამ ყოველგან, ხმელეთს, ზღვაშია,  
 მხოლოდ ერთ ხმოვანს თუ ჩაუმატებ  
 სამ ასოს შემდეგ სიტყვის შვაშია;  
 შუა მარცვლი დროების ზომას  
 ნიშნავს, — მეტ ნაკლებს სათვალავშია;  
 შემომკრებია სანოვავისა,  
 რაც გამოითქმის ორ მარცვალშია  
 და ბოლოს ადვილს ეუწოდებთ იმას, —  
 ბალსაც უძევს გარს, მისაველშია.

ე პ ი ტ ე ზ ი ს ი

(წარმოდგენილი არჩილ ჯაფანაშვილისაგან).

ჯ — ჯ — ო მ — ე — ნ — თ — შ — მ — უ — ო — ნ — მ — შ — ე — რ  
 გ — ე — ი — ო — შ — ნ — ა — მ — ე — ს — წ — ა — ს — პ — რ — ა  
 ნ — კ — რ — ხ — მ — ც — ო — ა — ი — ო



# რ ე ბ უ ს ი

1.



ს 7 ა 40


რ




ღ 70 რ 10 ს



200 მ 5



30 ე 2



2.



ვ ე



ს 4 ა 30



ს 4 ა

ქვეუნი  
გამხენი ვინ  
არის?

ს მ 5



რ

სანხელი  
ანუ?

ს.

## ხ ა ლ ხ უ რ ი.

(წარმოდგენილი ი. გარსევანაშვისაგან).

ძმაო ძმითა ხარ მაგარი,  
თორემ მტერ მოგერეოდა,  
დაგიბრიყვებდა სოფელი  
სალამიც დაგლეოდა.

## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი თ. კანდელაკისაგან).

შავია, — ნახშირი არ არის,  
თეთრია, — ყველი არ არის,  
კული აქვს, — თაგვი არ არის,  
ქოჩორი აქვს, — კაცი არ არის.

შოგნით ტყავი გარეთ ხორცი.

(წარმოდგენილი კ. გვასალიასაგან).

მოელუნე ცა მოგკრიფე ვარსკვლავი.



## № III გამოცანებისა.

ანაგრამმა: თოში, შოთი.

რებუსი; , დედილო მომეც ფარ ხმალი, რომ ავასრულო ვა-  
ლია! აღრეა, შეილო, ჯერ კიდევ, წიგნია შენი ხმალია.

რებუსი ანსნეს, თბილისში: მესამე კლასიკ. გემნაზ. მოსწავლემ  
დ. როსტომაშვილმა და საშა (იგივე თამარა) ციციშვილის ქალმა.  
ფოთში: ფოთის სამრევლო სკოლის მეორე განყოფილების მოსწავ-  
ლემ ისიდორე ქაჯაიამ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუშანიშვილი-წერეთლის.

საქმასწავლებელ ნახატებიანი ჟურნალი

# „**გ ე გ ი ლ ი**“

წელიწადი მარტი

გამოვა 1897 წელს თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღვეითქვეს ყველა ჩვენში საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი „გეგილი“ თფილისში დატარებით ღირს—4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან.

ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ.

ხელისმოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ხელისმოწერა მიიღება:

1) თბილისში—წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Зем. Банка № 102), „ქართულ სახალხო სამკითხველოში (დ. зем. банка № 32) და თვით „გეგილის“ რედაქციაში (Артиллер. ул. д. Тамамшева, возлѣ кадетскаго корпуса).

2) შუთაისში—მ. ბეჟანეიშვილთან,

3) გორში—ა. კალანდაძესთან.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

5) სიღნაღში—ივან. ქიტიაშვილთან.

6) საჩხერაში—ქარამან ჩხეიძესთან.

7) ელისავეტოპოლში: ა. მოქაბერიძესთან.

8) თიონეთში—ივ. ჩიბლაიშვილთან.

9) შვირილაში—არაბიძის წიგნის მაღაზიაში.

10) ფოთში—ი. კობრიძესთან.

ფოსტის აღრესი: *Во Тифлисе, во редакцію грузинскаго оптскаго журнала „Джეგული“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წყნეთლისა